CIAN MAGENTA YALLOW BLACK

ალია

N64 (3380) 9 ივნისი 2016 წ

PRESS

ფასი 50 თეთრი

ორშაბათი ალია | ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“
ლორდ ექტონი 1877 წელი

WWW.ALIA.GE

გამოდის 1995 წლიდან

50 თეთრი

გამოდის:

ოთხშაბათი ალია | ხუთშაბათი ალია | პარასკევი ალია

ვალერი გელბახიანი:

„ივანიშვილზე 2012 წელს მითები დადიოდა, ეს მითები დაიმსხვრა. გაიარეთ ქუჩაში, ბაზარში და ნახავთ, ადამიანები ივანიშვილს აგინებენ, მისგან თავს მოტყუებულად და დამცირებულად თვლიან“

რისთვის დასჭირდა ივანიშვილს საარჩევნო შტაბის უფროსად „ეჭვმიტანილი“ კახა კალაძის დანიშვნა?

3

ექვსი „ჩამჭრელი“ კითხვა ბიძინა ივანიშვილს

რა მტკიცებულებების დადებას აპირებს ზაზა სატიაშვილი ივანიშვილისთვის?

9

ამდენი ტყუილები?... ჰოო... არჩევნები მოდის!

რა უსაყვედურა და ექსპერტების რა რჩევები არ გაითვალისწინა ივანიშვილმა?

7

მალე გექნებათ უვიზო რეჟიმით, ხვალ რაღაა და აი, ზეგ უეჭველიო... დაგვცინიან და გვამასხარავებენ, რა!

2

ჰო, კი, წამალია ივანიშვილის სიტყვები — ლუმინალია, აბა, როგორ?!

2

„ხელისუფლების მთავარი პრობლემა ის არის, რომ გაკეთებული საქმე ადეკვატურად არ შუქდება“

8

„დოიჩე ველე“ - ევროპულ ქვეყნებში ევროკავშირის მიმართ სკეპტიკური განწყობები ძლიერდება

10

რა განათლება აქვთ ქართველ პარლამენტარ ქალებს

6

მალე გექნებათ უვიზო რეჟიმიო, ხვალ რაღაა და აი, ზეგ უეჭველიო... დაგვცინიან და გვამასხარაგებენ, რა!

საქართველოსთვის უვიზო რეჟიმის შემოღების საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების გარეშე დასრულებული ორი წარუმატებელი სხდომის შემდეგ, ბრიუსელში შეკრებლმა ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ელჩებმა გადაწყვეტილება ვერც ამჯერად მიიღეს. ამის შესახებ ინფორმაციას საზოგადოებრივი მაუწყებლის ჟურნალისტი ქეთევან ქარდავა ავრცელებს.

რადიო თავისუფლების კორესპონდენტ რიკარდ იოზვიაკის ინფორმაციით კი ვიზალიბერალიზაციის ამ ეტაპზე ამოქმედების წინაალმდეგი ევროპის 3 დიდი ქვეყანაა:

საქართველოს საკითხი თურქეთთან, უკრიანასთან და კოსოვოსთან ერთად განიხილებოდა, თუმცა დიპლომატებმა ერთიან პოზიციაზე შეჯერება ვერ მოახერხეს.

9 ივნისს ევროკავშირის წევრი ქვეყნების იუსტიციის და შინაგან საქმეთა მინისტრები იკრიბებიან. მთავარი თემა ვიზალიბერალიზაცია იქნება, მინისტრების ნაწილსაც ვიზალიბერალიზაციასთან დაკავშირებით უარყოფითი დამოკიდებულება აქვს და მიზეზად მიგრაციის კრიზისი მოჰყავს.

საკითხს ეხმიანება ევროპული საბჭოს პრეზიდენტის დონალდ ტუსკი, რომელიც აცხადებს, რომ საქართველოს მოქალაქეებს უვიზო რეჟიმის პირობები სულ მალე მიენიჭებათ.

მისი თქმით, გასული წლის დე-

კემბერში ევროკომისიამ დაადასტურა, რომ საქართველომ შეასრულა ყველა საჭირო მოთხოვნა, რათა მიღებულ იქნას საბოლოო გადაწყვეტილება.

– რაც შეეხება ვიზალიბერალიზაციას, კომისიამ აღნიშნა, რომ საქართველომ შეასრულა ყველა კრიტერიუმი საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად, რაც დარწმუნებული ვარ, მალე მოხდება, - განაცხადა ტუსკმა.

დადებითი შედეგის მოლოდინი აქვს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესაც:

– ვართ ძალიან ოპტიმისტურად, რომ კონკრეტულად საქართველოსთან მიმართებაში გადაწყვეტილება იქნება მალე და იქნება დადებითი, - განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილმა გერმანიაში ვიზიტის ფარგლებში ბუნდესტაგის პრეზიდენტ ნორბერტ ლამერტთან ერთობლივ პრესკონფერენციაზე.

– ჩვენ, ქართველებმა, თუ გვინდა ოდესმე გავხდეთ ევროპის სრულფასოვანი წევრი, უნდა ვისწავლოთ არა მხოლოდ ევროპული სიკეთეების გათავისება, არამედ ევროპული პრობლემების გადაწყვეტაში ჩვენი წვლილის შეტანაც. ამიტომ, ჩვენ ძალიან დიდი ყურადღებით ვისმენთ ჩვენი პარტნიორების მოსაზრებებს იმ ნიუანსებთან დაკავშირებით, რომელიც იხილება სხვადასხვა დონეზე და ვართ ძალიან ოპტიმისტური, რომ კონკრეტულად

საქართველოსთან მიმართებაში გადაწყვეტილება იქნება მალე და იქნება დადებითი.

ამასთან, ჩვენ ყველა თავს ვიკავებთ რაიმე კონკრეტული თარიღების დასახელებისგან, თუმცა განწყობა თქვენ უკვე მოისმინეთ სრულიად მკაფიო, რომ საქართველოში საპარლამენტო არჩევნებამდე, ყველას გვინდა, ყველას ინტერესშია, რომ პოლიტიკური გადაწყვეტილება იყოს მიღებული, - განაცხადა უსუფაშვილმა. (newposts.ge; pia.ge; medianews.ge)

● აი, ესეც ნატო ხომ არ არის, ან მაპი, ტერიტორიების დაბრუნება ხომ მით უმეტეს, რატომ აჯანჯლებენ, რატომ გვიწამლავენ ნერვებს, ამოუხსნელი ფენომენია. რაც მთავარია, თავად გერმანიამაც დაადასტურა, რომ მთავარი არგუმენტი — თითქოს ქართველები მთელ ევროპას კრიმინალურ ხანძარს მოსდებენ, უსუსტესია, რადგან დანაშაულებების ჩადენით თავად ევროპელებიც კი გვისწრებენ.

მოკლედ, ვნახოთ, დაველოდოთ როგორი შედეგით დასრულდება ეს პროცესი — იმედია, ევროპა ისევ გაღიმებულს და ისევ მოტყუებულს არ დაგვტოვებს!

რაც შეეხება დავით უსუფაშვილის განცხადებას: უნდა ვისწავლოთ არა მხოლოდ ევროპული სიკეთეების გათავისება, არამედ ევროპული პრობლემების გადაწყვეტაში ჩვენი წვლილის შეტანაცო, რომ ამბობს, რაშია საქმე, იცით? მეტი რაღა უნდა გავაკეთოთ — სამშვიდობო მისიებში ვმონაწილეობთ? კი, ბატონო, ასეა და ყველამ გადასარევად იცის ეს ამბავი! სხვა პრობლემების ამბებშიც ხომ შეგვაქვს წვლილი — აი, ეკოლოგიურ ამბავში და ასე შემდეგ. ჰოდა, მეტი რაღა წვლილი შევიტანოთ, ეს დედაარღნიანი, ტერორისტული აქტების აღკვეთა თავად ევროპელებსაც უჭირთ და...

აააა, ხო — მოდი, გადმოგვილოცონ რომელიმე ევროპული ქვეყანა და შევიერთოთ, ისედაც რამხელა ტერიტორიები წაგვართვა მამაძაღლმა „პუწინმა“, ჩვენი რა მიდის, რო?!

მთავრობის წევრები წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართვას აპირებენ

საქართველოს მთავრობის წევრები 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის, წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართვას აპირებენ.

როგორც ჯანდაცვის მინისტრმა განაცხადა, წინასაარჩევნო კამპანიაში ჩართვას აპირებს.

– დადგენილი წესის მიხედვით, როცა ჩართული ვიქნები საარჩევნო კამპანიაში, აუცილებლად ავიღებ შვებულებას", — განაცხადა დავით სერგეენკომ.

ეკონომიკის მინისტრ დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, წინასაარჩევნო კამპანიაში კანონდებლობის გათვალისწინებით ჩაერთვება.

– მე ჩემს გუნდში ვარ აქტიური, ვიყავი და ვიქნები წინასაარჩევნო პერიოდშიც, — განაცხადა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

რაც შეეხება წინასაარჩევნო რესურსის გამოყენების ბრალდებებს, რომლებზეც ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები საუბრობენ, დავით სერგეენკოს განმარტებით, მთავრობის წევრები ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებას არ აპირებენ.

დიმიტრი ქუმსიშვილის თქმით კი, არსებობს ბევრი მექანიზმი, რომელიც იძლევა შესაძლებლობას, რომ მსგავსი ფაქტები გადამოწმდეს. (kvira.ge)

აპ, აპ, აპ, ჩაუდეს ეგ 30 მილიონი, სააკაშვილის მრჩეველი ფულს როგორ მიითვისებდა?!

მიხეილ სააკაშვილის მრჩეველი თეიმურაზ ნიშნიანიაძე 30 მილიონი გრივნის (120 ათასი აშშ დოლარის) გაფლანგვასთან კავშირშია ეჭვმიტანილი. გამოცემა **cripo.com.ua**-ის ინფორმაციით, გენერალური პროკურატურა ორ საქმეს იძიებს. ერთი ეხება 2015 წლის აგვისტოდან 2016 წლის თებერვლამდე პერიოდს, როდესაც ნიშნიანიძის მონაწილეობით საქველმოქმედო ფონდ „ოდესის კეთილდღეობისთვის" კუთვნილი 14 მილიონი გრივნა იყო მითვისებული. ეს ფული სატელევიზიო რეკლამასა და ოდესის საოლქო ადმინისტრაციის რემონტს მოხმარდა. მეორე საქმე კი 2011-2013 წლებში ჩადენილ დანაშაულს ეხება, როდესაც ნიშნიანიძე ოდესაში საქართველოს გენერალური კონსული იყო. მაშინ, გამოძიების ვერსიით, 19,8 მილიონი გრივნა იყო მითვისებული.

ფულის გაფლანგვასთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე 2016 წლის მარტში უკრაინის გენერალურმა პროკურატურამ აღძრა. (kvira.ge)

ჯაა, აბა, მარტო მეჭიაური მიიჭირხვნა?

პარლამენტის წევრი, მმართველი პარტიის წარმომადგენელი ომარ ნიშნიანიძე „ქართულ ოცნებაში“ რჩება. პარტიაში დარჩენის გადაწყვეტილება მან ყოფილ პრემიერ-მინისტრთან შეხვედრის შემდეგ მიიღო.

– პირადად შევხვდი ბატონ ბიძინას. მასთან ბოლო შეხვედრამ მიმაღებინა გადაწყვეტილება, რომ ის ფუნდამენტური ღირებულებები, რომელიც „ქართულ ოცნებას“ ჰქონდა 2012 წელს გაცხადებული, კვლავ ძალაშია. მე უნდა დავრჩე ამ გუნდში! რაც შეეხება ჩემს კრიტიკულ გამოსვლებს, არ ვაპირებ, ამაზე უარი ვთქვა, თუნდაც ჩემი გუნდი იყოს. თუ ჩემი ყოფნა გუნდში დისკომფორტს არ შექმნის და თუ გიორგი კვირიკაშვილი და ბიძინა ივანიშვილი უარს არ იტყვიან და ჩათვლიან საჭიროდ, რომ მე ვიყო მათთან ერთად, ვიქნები კიდეც! ყოველ შემთხვევაში, მხარდამჭერი ყოველთვის ვიქნები მათი.

ბატონმა ბიძინამ ძალიან თბილად მიმიღო. მესაუბრა ბევრ თემაზე, მათ შორის ჩემს სიხისტეზე, ჩემს კრიტიკულ გამოსვლებზე. მან შეიძლება რჩევის სახით გითხრას რამე, მაგრამ არასდროს გაძალებს, აქ იყავი, იქ იყავიო. ამიტომ მე მივიღე გადაწყვეტილება, დავრჩე „ოცნებაში, - განაცხადა ნიშნიანიძემ.

რამდენიმე დღის წინ ომარ ნიშნიანიძე თამაზ მეჭიაურის პოლიტიკურ პარტიაში გადასვლას არ გამორიცხავდა, თუმცა, როგორც აღნიშნა, „ქართული ოცნების“ რიგების დატოვება მან სწორედ ივანიშვილთან შეხვედრის შემდეგ გადაიფიქრა.

– თამაზ მეჭიაური ჩემი მეგობარია. თუმცა ჩვენ გვქონდა განსხვავებული მოსაზრებები საგარეო პოლიტიკურ კურსთან დაკავშირებით, ამიტომ მე ვიკავებდი თავს მის გუნდში გადასვლისგან. მაგრამ ბიძინა ივანიშვილის ბოლო გამოსვლებმა და მასთან პირადმა შეხვედრამაც დამარწმუნა, რომ ჩვენი ღირებულებები უცვლელია; მე უნდა ვიყო ამ გუნდში და ბოლომდე ვიბრძოლო გამარჯვებისთვის. ამავდროულად, მე უნდა ვიყო კრიტიკული, რადგან ამით მომაქვს ამომრჩევლის აზრი გუნდამდე, რათა ვიყოთ უკეთესნი, - განაცხადა ნიშნიანიძემ. (რეპორტიორი)

● გაუკეთესებული „ქართული ოცნება“ რაღაც ძალიან რთული გასახსენებელია, ეს ერთი და მეორე — ბიძინა ივანიშვილი რატომ არის ყველას მრჩეველ-დამრიგებელი, რა ჩინ-მედლები აქვს ასეთი ან რა წიგნები წაიკითხა ამდენი?

ჰო, კი, წამალია იყანიშვილის სიტყვები — ლუმინალია, აბა, როგორ?!

– ბიძინა ივანიშვილის გამოსვლები საზოგადოების ნაწილზე დამამშვიდებელი წამალივით მოქმედებს, - ამის შესახებ დეპუტატმა თეიმურაზ ჭკუასელმა განაცხადა. მისი თქმით, ყოფილი პრემიერის გააქტიურება და საზოგადოებასთან კომუნიკაცია საჭიროა. პარლამენტარის შეფასებით, ყოფილი პრემიერი სწორად განსაზღვრავს პროცესებს და ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე სათანადო ანალიზს აკეთებს.

ჭკუასელის თქმით, პრესკონფერენციაზე ბიძინა ივანიშვილი საუბრობდა, როგორც „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი, და არა როგორც არაფორმალური მმართველი, როგორც ამას მისი ოპონენტები ამბობენ.

– როგორ დავაჯერო საზოგადოება, რომლის ერთმა ნაწილმა უკვე ძალიან კარგად იცის, რომ ბიძინა ივანიშვილი არ ერევა ქვეყნის მართვაში, გადაწყვეტილების მიღებაში? მას არაერთხელ უთქვამს და ასეცაა, რომ გადაწყვეტილებებს მიიღებს გიორგი კვირიკაშვილი, როგორც მთავრობის მეთაური. ის მართლა არ ერევა იმ გადაწყვეტილებებში, რაც გიორგი კვირიკაშვილის პრეროგატივაა, - განაცხადა დეპუტატმა.

რაც შეეხება ეკონომიკურ მდგომარეობასთან დაკავშირებით ივანიშვილის მოსაზრებას, რომ ამ მხრივ, ქვეყანაში მძიმე ვითარებაა, ჭკუასელი ეთანხმება და ამბობს, რომ ამ კუთხით მუშაობა გასაგრძელებელია, რისთვისაც, დეპუტატის თქმით, მინიმუმ 4 წელია საჭიროა.

– ძალიან ბევრი ბიზნესმენი ჩემთან მოდის და მესაუბრება, რომ ის კურსი და ის პოლიტიკური ძალა, რომელიც მართავს ქვეყანას, უნდა იყოს შენარჩუნებული მინიმუმ 4 წელიწადი. მათი შეფასებით, ეს ქვეყნისთვის ძალიან კარგია. ჩვენ გვჭირდება მინიმუმ 4 წელი, რომ კურსი, რომელიც აღებული აქვს მმართველ ძალას, უნდა გაგრძელდეს. პირადად ჩემს მაგალითს გეტყვით, ძალიან ბევრი პროექტი მაქვს დაწყებული გურიაში და სურვილი მაქვს, ბოლომდე მივიყვანო... - განაცხადა ჭკუასელმა. (რეპორტიორი)

● ხალხი: ნატოში არ გვიღებენ, ბატონო ბიძინა!

ბიძინა ივანიშვილი: ლუმინალი!

ხალხი: ვიზალიბერალიზაციასაც რომ არ დააყენეს საშველი, ბატონო ბიძინა?

ბიძინა ივანიშვილი: ლუმინალი!

ხალხი: გვიჭირს და საჭმელი არ გვაქვს, ბატონო ბიძინა!

ბიძინა ივანიშვილი: ბა-წა-რი!..

კაცო, ბატონო თემურ, უკაცრავად — ბატონო თეიმურაზ, თავად ბიძინა ივანიშვილმა თქვა, რომ ირაკლი ღარიბაშვილის გადადგომის პროცესში ვმონაწილეობდიო და თქვენ რა ზღაპრებს გვიყვებით აქ, ჰა?!

ნინო სამხარაძე
599 71-14-22

ვალერი გელბახიანი: „ივანიშვილზე 2012 წელს მითები დადიოდა, ეს მითები დაიმსხვრა. გაიარეთ ქუჩაში, ბაზარში და ნახავთ, ადამიანები ივანიშვილს აგინებენ, მისგან თავს მოტყუებულად და დამცირებულად თვლიან“

რისთვის დასჭირდა ივანიშვილს საარჩევნო შტაბის უფროსად „ეჭვმიტანილი“ კახა კალაძის დანიშვნა?

ბიძინა ივანიშვილის „ოცნების ადამიანმა“, პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა საარჩევნო კამპანია გახსნილად გამოაცხადა და „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბს სათავეში კახი კალაძე ჩაუყენა. ორი ავტოგოლის ავტორი კახი კალაძე, პრემიერმა დაახასიათა, როგორც ორგანიზატორული ნიჭით გამორჩეული და თქვა, მისი კაპიტნის თვისებები დაგვეხმარება, მივაღწიოთ გამარჯვებასო.

ჩაგრულებს ბევრი ქომაგი გამოუჩნდება ხოლმე და ამომრჩეველმა რომ პირი მათკენ იბრუნოს, მერე რას შვრებით?

საოცარი ხალხი ხართ „ქართულ ოცნებაში“, ერთი მხრივ, დაგმეთ ის ინციდენტი, რაც კორცხელში მოხდა და მეორე მხრივ, გვერდში ამოიყენეთ ამ ინციდენტთან ასოცირებული ლიდერი. თქვენ ამით აკეთებთ განაცხადს, რომ მზად ხართ და არ გამორიცხავთ, მოიგოთ არჩევნები ყველანაირი მეთოდით... იყო საუბრები, რომ ეს ინციდენტი მოაწყვეს ხელოვნურად, რომ კახი კალაძე ჩამოეცილებინათ ხელისუფლებიდან, აღმოჩნდა, რომ ამას საპირისპირო შედეგი მოჰყვა. ბოროტი ენები იმასაც ამბობენ, კახი კალაძემ სააკაშვილის ბიზნესელიტა გადმოიბარა და დღეს მის ორბიტაზეა ყველა ის მილიონერი ბიზნესმენი, ვინც თავის დროზე სააკაშვილს აფინანსებდაო.

რას ფიქრობს ექსპერტი ვალერი გელბახიანი პრემიერის ამ გადაწყვეტილებაზე და ვის რა ასოციაციას გაუჩენს კახი კალაძისთვის საარჩევნო შტაბის ჩაბარება?

ამ და სხვა მნიშვნელოვან თემებზე „ალიას“ კითხვებს ვალერი გელბახიანი პასუხობს:

— კახი კალაძისგან არჩევნებზე უნდა ველოდოთ „ფართომასშტაბიან კორცხელს“?

– გამოძიებით არ არის დადგენილი, იყო თუ არა კახი კალაძე კორცხელში ცემა-ტყეპის დამკვეთი, მაგრამ ყველამ იცის, რომ ამის უკან იდგა კახი კალაძე. საოცრებაა, ადამიანი, რომელიც ეჭვმიტანილი იყო კორცხელის ინციდენტის ორგანიზებაში, დაინიშნა საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელად. ეჭვი, რომელიც კახი კალაძის ირგვლივ არსებობს, არ გაქარწყლებულა. ალბათ, უნდა ვივარაუდოთ, რომ 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებზე გამოყენებული იქნება ძალადობის მეთოდოლოგია, ხოლო დამკვეთი არ იქნება დასჯილი. არ მგონია, რომ კორცხელის ინციდენტის ორგანიზებაში ეჭვმიტანილი საზოგადოებამ ნორმალურად მიიღოს საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელად და არც ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს ექნება დადებითი რეაქცია. ეს გადაწყვეტილება თავხედობას უფრო ჰგავს, რომ ეჭვმიტანილ ადამიანს ჩააბარო პროცესების მართვა.

— ბატონო ვალერი, „ეჭვმიტანილი“ კალაძე კვირიკაშვილმა კი წარადგინა შტაბის უფროსად, მაგრამ ცხადია, ეს ბიძინა ივანიშვილის სურვილი იყო. ასეთი „თავხედობა“ ივანიშვილს რაში დასჭირდა, დარწმუნებულია არჩევნების მოგებაში?

– ივანიშვილს შეეძლო, გამხდარიყო ეროვნული ლიდერი, მაგრამ დარჩა თავისი პარტიის ლიდერად, ახლა ის მხოლოდ „ქართული ოცნების“ გამარჯვებაზე ზრუნავს, მეტი ამოცანა მას არ გააჩნია. რატომღაც მეგონა, რომ ქვეყანაში გამაერთიანებლის ფუნქციას იტვირთავდა, იმუშავებდა ყველა პარტიასთან ქვეყნის სასიკეთოდ, ყველას გამოუცხადებდა თანადგომას, მაგრამ არა, ის დარჩა საკუთარი პარტიის თავმჯდომარედ, მისი მიზანია შეინარჩუნოს ძალაუფლება, რომელიც არ არის კონსტიტუციის ჩარჩოებში მოქცეული, მაგრამ ფაქტობრივი მმართველია ქვეყნის. დავინახე, რომ ამ ჩრდილიდან გამოსვლის სურვილიც კი არ გააჩნია. დარწმუნებულია, არჩევნებს მოიგებს და სხვა პარტიების ადგილი არ არის. ივანიშვილი ფიქრობს, რომ საქართველოში არ არსებობს ოლქი, სადაც მაჟორიტარულ არჩევნებს ვერ მოიგებს, მაგრამ პირადად მე ხუთი ისეთი ოლქი ვიცი, სადაც ისეთი კანდიდატები დასახელდებიან სხვა პარტიებიდან, რომ „ოცნება“ პირწმინდად წააგებს. მათი გვარების დასახელისგან თავს შევიკავებ, როგორც კი დარეგისტრირდებიან, მიხვდებით, რომ ისინი ძალიან სერიოზულ წინააღმდეგობას გაუწევენ „ქართულ ოცნებას“. მე როგორც ვიცი, „ოცნება არ აყენებს მაჟორიტარებად იმ კანდიდატებს, ვინც „ნაციონალური მოძრაობიდან“ იყო გასული და შემდეგ „ქართული ოცნების“ მხარეს გადავიდა, არის რამდენიმე ისეთი გავლენიანი და წონადი ფიგურა, რომლებსაც „ქართული ოცნების“ მაჟორიტარები არჩევნებზე ვერ მოუგებენ. ნუ ჰგონია ივანიშვილს, რომ არჩევნებს ფულით მოიგებს. მას შევახსენებ, რომ 2012 წელს „ნაციონალურმა მოძრაობამ“ რა ფულიც დახარჯა, იმის მეათედიც კი არ დაუხარჯავს „ქართულ ოცნებას“, მაგრამ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ არჩევნები ვერ მოიგო. როცა ხალხს არ უყვარხარ, გინდ ძეგლი დაუდგი, გინდ სასახლე აუშენე, ფულს გამოგართმევს, მაგრამ ხმას მაინც არ მოგცემს.

— ხელისუფლებამ ოპოზიციის არც ერთი მოთხოვნა არ გაითვალისწინა, იგივე იგივე საარჩევნო კოდექსი დატოვა, ამიტომ ოპოზიცია არჩევნების გაყალბების მოლოდინშია, როგორ ფიქრობთ, „ოცნება“ წავა არჩევნების გაყალბების გზით?

– ვერა, არჩევნებს ვერ გააყალბებენ, როგორც კი გაყალბებას გაბედავენ, ეს ნიშნავს იმას, რომ ქვეყანა კონსტიტუციური რეჟიმიდან გამოვა, რაც იმას ნიშნავს, რომ ქვეყანა დარჩება უპარლამენტოდ და მთავრობის გარეშე. ექვს პარტიას საარჩევნო კომისიაში თავისი წევრი ჰყავს, რომელიც ოქმების გაყალბების უფლებას არ მისცემს. შესაძლოა ერთ-ორ ოლქში ეს მოხდეს, მაგრამ მასობრივ გაყალბებას გამოვრიცხავ. ივანიშვილს ჰგონია, რომ კიდევ აქვს ჭარბი რესურსი, ამბობს, რომ რეგიონებს შემოივლის, ხალხს დაარწმუნებს და ხალხი ხმას მისცემს. ვფიქრობ, რომ ამ ნაწილში ივანიშვილს ძალიან დიდი წარმოდგენა აქვს საკუთარ თავზე. ივანიშვილზე 2012 წელს მითები დადიოდა, ეს მითები დაიმსხვრა. გაიარეთ ქუჩაში, ბაზარში და ნახავთ, ადამიანები ივანიშვილს აგინებენ და მისგან თავს მოტყუებულად და დამცირებულად თვლიან, პროტესტს უცხადებენ, მის შესახებ მითები, გამქრალია. ოთხი წელია რეგიონებში არ ჩასულან, არ იციან საკუთარი მოსახლეობის გასაჭირი, რითი ცხოვრობენ. ივანიშვილმა რამდენჯერმე თქვა, რომ, თუ მისი გუნდი ვერ გაიმარჯვებს, პოლიტიკიდან წავა. ის იძულებული გახდება, რომ წავიდეს. კი გვიბარებს, მოგენატრებითო, მაგრამ ბევრ პოლიტიკოსს ჰგონია, რომ ხალხს მოენატრება. ასე ფიქრობს სააკაშვილიც, მაგრამ ასე არ ხდება. პოლიტიკიდან წასული ადამიანები აღარავის ენატრება. ის არც ნაპოლეონია და არც სტალინი, ჩვეულებრივი მოკვდავია, რომელსაც აქვს განუზომელი ფინანსური რესურსი.

— თქვენი აზრით, ივანიშვილი ვისში ხედავს კონკურენტს?

– პაატა ბურჭულაძეში... შევატყე, რომ შიშობს, რომ ბურჭულაძე პრობლემებს შეუქმნის. მეორე მხრივ, ჰყავს მეჭიაური იმისთვის, რომ ბურჯანაძეს წაართვას ხმები. „ნაცების“ არ ეშინია, ამას აშკარად ამბობს. წერილისგან განსხვავებით, ინტერვიუში თქვა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ საფრთხეს კი არ წარმოადგენს, არამედ 5%-იან ბარიერსაც კი ვერ გადალახავენო. არადა, წერილში დაწერა, რომ ყველანაირ რესურსს დახარჯავს, რომ „ნაცმოძრაობა“ ხელისუფლებაში არ დაბრუნდეს. მერე პოსტულატი შეცვალა და თქვა, რომ „ნაცმოძრაობა“ საფრთხე არ არის. სამაგიეროდ, აქცენტი გააკეთა პაატა ბურჭულაძეზე, რომელიც უკვე ღიად გახდა მისი სამიზნე.

მსოფლიო ბანკმა საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზი უცვლელი დატოვა

მსოფლიო ბანკმა გლობალური ეკონომიკური ზრდის პროგნოზი შეამცირა. ბანკის ახალი ანგარიშის თანახმად, მიმდინარე წელს გლობალური ეკონომიკური ზრდა 2,4 პროცენტი იქნება, ნაცვლად იანვარში ნავარაუდევი 2,9 პროცენტისა.

– გლობალური ეკონომიკა მყიფეა, ზრდა - სუსტი. თუმცა, მსოფლიო ეკონომიკა რეცესიაში არ არის. ეკონომიკური გაჯანსაღება გრძელდება, - აღნიშნა მსოფლიო ბანკის ეკონომისტმა აიჰან კოუზმა.

ბანკის პროგნოზით, 2017 წელს მსოფლიო მშპ 2,8 პროცენტამდე გაიზრდება, 2018 წელს კი 3 პროცენტით.

ამასთან ერთად, მსოფლიო ბანკმა უცვლელი დატოვა საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროგნოზი. იანვრის ანგარიშის მსგავსად, ახალი ანგარიშის თანახმად, მსოფლიო ბანკი 2016 წელს საქართველოს ეკონომიკის 3 პროცენტიან ზრდას პროგნოზირებს, 2017 წელს - 4,5 პროცენტს, 2018 წელს კი 5 პროცენტს.

მსოფლიო ბანკის ანგარიშის თანახმად, ჩინეთის ეკონომიკის ზრდა 2016 წელს 6,7 პროცენტს მიაღწევს, აშშ-ის ზრდის მაჩვენებელი 1,7 პროცენტი იქნება, ევროზონის კი 1,6 პროცენტი. (bpn.ge)

საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტო: ნავთობის ფასის მატება წლის ბოლომდე გაგრძელდება

საერთაშორისო ენერგეტიკული სააგენტო მსოფლიოში ნავთობის ფასის მატებას პროგნოზირებს. როგორც სააგენტოს ხელმძღვანელმა ბრიუსელში გამართულ კონფერენციაზე განაცხადა, ფასების მატება წლის ბოლომდე გაგრძელდება, სანავთობო ბაზარზე ბალანსი კი 2017 წლიდან აღდგება.

2014 წლიდან დღემდე ნავთობის ფასი ბარელზე 115 აშშ დოლარიდან 35 აშშ დოლარამდე შემცირდა. ბოლო ვაჭრობის შედეგად კი ბრენტის ტიპის ნავთობის ფასი 51 დოლარი გახდა, რაც ბოლო 7 თვის მაქსიმუმია. (businesscontact.ge)

გლობალური მშვიდობის ინდექსში საქართველოს პოზიცია 6 საფეხურით გაუარესდა და 85-ე ადგილზეა



გლობალური მშვიდობის ინდექსში საქართველოს 162 ქვეყანას შორის 85-ე ადგილი უკავია.

გასულ წელს საქართველო რეიტინგში 79-ე ადგილს იკავებდა. საქართველოს მშვიდობის ინდექსი წელს 2,057-ია, გასულ წელს კი ის 1,9-ს შეადგენდა.

რეიტინგში 134-ე ადგილზეა აზერბაიჯანი, სომხეთი 110-ზე, თურქეთი 145-ზე, ხოლო რუსეთი კი 151 ადგილს იკავებს. 156-ე ადგილზეა უკრაინა.

გლობალური მშვიდობის ინდექსს ყოველწლიურად „მშვიდობისა და ეკონომიკის ინსტიტუტი" იკვლევს. კვლევის ავტორები აღნიშნავენ, რომ მშვიდობიან და საფრთხის შემცველ ქვეყნებს შორის დისბალანსი მზარდია. მსოფლიოს ყველაზე მშვიდობიანმა ქვეყნებმა საკუთარი შედეგები გაიუმჯობესეს, ხოლო ნაკლებად მშვიდობიანი ქვეყნების მაჩვენებლები კი პირიქით – გაუარესდა. (businesscontact.ge)

აი, ეგრე – დოლართან მიმართებაშიც გამყარდა და ევროსთან მიმართებაშიც

ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით, ეროვნული ვალუტა დოლართან მიმართებაში გამყარდა. კერძოდ, 9 ივნისისთვის 1 აშშ დოლარის ოფიციალური ფასი 2,1282 ლარი გახდება. კურსი, რომელიც გუშინ მოქმედებდა, 2,1323 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ 0,0041 ლარი შეადგინა.

ეროვნული ვალუტის კურსი ევროსთან მიმართებაშიც გამყარდა. კერძოდ, დღეს 1 ევროს შეძენა 2,4196 ლარად იქნება შესაძლებელი, მაშინ, როცა აქამდე მოქმედი კურსი 2.4244 ლარს შეადგენდა. შესაბამისად, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის ცვლილებამ ევროსთან მიმართებაში 0,0048 ლარი შეადგინა. (bpn.ge)

imedi L
ჯანმრთელობის დაზღვევა

ღია სივრცე imedi L-ში!
გახდი ჩვენი სადაზღვევო აგენტი:

- თუ ხარ ენერგიული და გსურს, მართო შენი წარმატებული კარიერა
- თუ გსურს, გქონდეს საკუთარი შემოსავალი
- თუ გსურს, იმუშაო თავისუფალი გრაფიკით

agents@imediL.ge 2 922222 imediL.ge fb.com/imediL

მეანაბრე „ტერაბანკს“ დეპოზიტიდან 759 800 დოლარის მითვისებას ედავება, ბანკმა მთავარ პროკურატურას მიმართა

მეანაბრე ქალბატონი, რომელსაც „ტერაბანკში“ (ყოფილი „კორ სტანდარტ ბანკი“) დეპოზიტზე 759 800 დოლარი ჰქონდა, ბანკს მისი კუთვნილი თანხის მითვისებას ედავება. როგორც მეანაბრის ინტერესების დამცველებმა განაცხადეს, ბანკმა ქალბატონის კუთვნილი თანხა თაღლითური სქემის მეშვეობით მიითვისა.

იურისტების ინფორმაციით, აღნიშნულთან დაკავშირებით საჩივარი უკვე შეტანილია საქართველოს მთავარ პროკურატურაში და გამოძიებაც დაწყებულია.

მათივე განმარტებით, მეანაბრემ „ტერაბანკში“, მაღალი სარგებლის მიღების მიზნით, საკუთარ ანგარიშზე 800 ათასი დოლარი განათავსა და თანხის დეპოზიტზე განთავსებიდან 1 წლის განმავლობაში „ტერაბანკი“ მას მართლაც უხდიდა შეთანხმებულ სარგებელს. 2014 წლის აპრილში კი მეანაბრემ, თანხის მოცულობა 759 800 დოლარამდე შეამცირა. იურისტების ინფორმაციით, სწორედ აქედან დაიწყო თაღლითური სქემის განხორციელება, რომლითაც მეანაბრის კუთვნილი თანხის მითვისება მოხდა.

– ანგარიშთან დაკავშირებული დოკუმენტების შესწავლისას გაირკვა, რომ „ტერაბანკმა“ 2014 წლის 4 აპრილს სრულად განკარგა მეანაბრის კუთვნილი 759 800 დოლარი და იმისდა მიუხედავად, რომ ამ დღიდან მეანაბრის ანგარიშზე განთავსებული იყო ნული აშშ დოლარი, კვალის დაფარვისა და მეანაბრის შეცდომაში შეყვანის მიზნით, მის საბარათე ანგარიშზე, მომდევნო 22 თვის განმავლობაში, ყოველი თვის დათქმულ რიცხვში, გრძელდებოდა სარგებლის ზუსტი ოდენობის შესატყვისი თანხის შეტანა, რაც მეანაბრეს აფიქრებინებდა, რომ მისი დეპოზიტი უსაფრთხოდ იყო განთავსებული „ტერაბანკში“ და იგი დაუბრკოლებლად იღებდა შეთანხმებულ სარგებელს დეპოზიტიდან, - აცხადებენ იურისტები.

იურისტების თქმით, მეანაბრემ მხოლოდ 2 წლის შემდეგ შეიტყო, რომ „ტერაბანკში“ დეპოზიტზე განთავსებული თანხა განულებული იყო.

ბრალდებებს „ტერაბანკი“ პასუხობს და აცხადებს, რომ ეს ყველაფერი სიცრუეა და სინამდვილეს არ შეესაბამება.

– ორი თვის წინ ბანკს განცხადებით კლიენტის ინტერესების დამცველმა იურიდიულმა ფირმამ მიმართა და მოითხოვა კლიენტისთვის გარკვეული თანხის გადახდა იმ საფუძვლით, თითქოს ბანკმა მისი კლიენტის ანაბარი მიითვისა. აღნიშნულის განცხადების მიღებისთანავე ბანკმა სამხარაულის ეროვნული ბიუროს მეშვეობით დაჩქარებული წესით ექსპერტიზა ჩაუტარა მეანაბრის მიერ ხელმოწერილ ყველა დოკუმენტს. შედეგად დადგინდა, რომ კლიენტის ხელმოწერა განცხადებაზე, რომლითაც კლიენტმა განკარგულება მისცა ბანკს მისი კუთვნილი თანხით სხვადასხვა სასესხო ვალდებულებები დაფარულიყო, არის ნამდვილი. ამავე დროს ექსპერტიზამ ეჭვქვეშ დააყენა ზოგიერთ შუალედურ დოკუმენტზე კლიენტის ხელმოწერის ნამდვილობა, რის გამოც ბანკმა 2016 წლის 17 მაისს გამოძიების დაწყების თხოვნით საქართველოს მთავარ პროკურატურას მიმართა, რადგან პირველ რიგში ბანკის ინტერესებშია ანაბართან დაკავშირებული ყველა გარემოების გამოძიება და სწორი სამართლებრივი პროცესების წარმართვა, - ნათქვამია „ტერაბანკის" განცხადებაში. (bpn.ge; news.ge)

აქ თქვენი რეკლამის ადგილია
577 44 44 42

მსოფლიოში ბანკები ბიომეტრიულ ტექნოლოგიებზე გადადიან, ქართული ბანკების ფილიალებში კი ისევ რიგები დგას

განვითარების მაღალი ტემპების მიუხედავად, ქართული საბანკო სისტემა ტექნოლოგიურად ძალიან შორსაა უახლესი მსოფლიო ტენდენციებისგან. ეს არის სპეციალისტების შეფასება, თუმცა იგივე სპეციალისტები ამბობენ, რომ ეს ვითარება არა ბანკების, არამედ ქვეყანაში ინტერნეტიზაციის დაბალი დონის შედეგია.

აქედან გამომდინარე, საქართველოსთვის ძალიან შორეული პერსპექტივაა ის ტექნოლოგიები, რომლებიც მსოფლიოში უკვე ინერგება: მაგალითად, თითის ანაბეჭდით ბანკომატზე ოპერაციების შესრულება, რომ აღარაფერი ვთქვათ ინტერნეტბანკინგზე, რომელშიც მსოფლიოში სულ უფრო მეტი ადამიანი ერთვება და ბანკების ფილიალების არსებობა აზრს კარგავს. საქართველოში კი ინტერნეტბანკინგის გავრცელების მასშტაბები საკმაოდ მოკრძალებულია და ბანკებში დამღლელ რიგებში დგომა გაცილებით გავრცელებული პრაქტიკაა.

რუსეთის ერთ-ერთ ბანკში დამუშავების პროცესშია პროგრამა - „18+“, რომელიც კლიენტების იდენტიფიცირებას ხელისგულით ითვალისწინებს. შედეგად, ბარათი, როგორც იდენტიფიცირების საშუალება, წარსულს ბარდება.

რამდენად არის მზად ქართული საბანკო სივრცე ინოვაციებისთვის და რამდენ ხანშია შესაძლებელი მსგავსი ბიომეტრიული პრაქტიკის დანერგვა საქართველოში?

„კომერსანტთან" საუბრისას ეკონომიკის დოქტორი რატი აბულაძე ამბობს, რომ ქართულ საბანკო სექტორს მსგავსი სიახლეების დანერგვა არ გაუჭირდება, თუმცა საქართველოში უფრო პრობლემატური მოსახლეობის მზაობაა.

მისი თქმით, სანამ ქვეყანაში ინტერნეტ წიგნიერება არ ამაღლდება, მოსახლეობის მხრიდან ინოვაციური პროდუქტების ათვისება მასობრივად ვერ მოხდება.

რატი აბულაძის თქმით, საქართველოში უკვე დანერგილია აიდიბარათების სისტემა და სახელმწიფოს მხრიდან ბარათების საზოგადოებაში ინტეგრირება აქტიურად მიმდინარეობს, თუმცა მოსახლეობის დამოკიდებულება ასეთი ცვლილებების მიმართ მაინც ფრაგმენტულია. ამასთან, ბანკები მომხმარებლებს სთავაზობენ ინტერნეტ და მობაილბანკინგს, თუმცა, მათი გამოყენება მომხმარებლების მხრიდან მასშტაბური არ არის.

– ბიომეტრიული ბარათი რომ გამოვიყენოთ, საჭიროა ციფრული გარემო, მაგრამ ციფრული პოლიტიკა არ გვივარგა. ინტერნეტბაზარი განუვითარებელია. თუ ეს ბაზარი არ განვითარდა, მარტო ბანკის მიერ შეთავაზებების გაკეთება საკმარისი არ არის, - აცხადებს რატი აბულაძე.

რაც შეეხება ვადებს, როდის შეიძლება ქვეყანაში საბანკო ბარათები ბიომეტრიულმა საიდენტიფიკაციო ტექნოლოგიებმა ჩაანაცვლოს, რატი აბულაძე ამბობს, რომ ეს უახლესი პერსპექტივა ვერ იქნება, რადგანაც ქვეყანაში ინტერეტზე წვდომისა და კომპიუტერიზაციის დონე დაბალია.

– ევროპამ 90-იანი წლების ბოლოს უკვე შექმნა სიცოცხლისუნარიანი ინტერნეტბაზარი, მოსახლეობა იყო კომპიუტერიზებული, ინტერნეტიზებული, ჰქონდა სამართლებრივი რეგულირების გარემო და დღეს 24 ტრილიონი მოგების ეკონომიკას ქმნის ციფრული ეკონომიკა.

საქართველომ კი ეს პროცესები ახლახან დაიწყო. ინტერნეტიზაციის პროექტმა 1 წლის წინ აიღო სტარტი, ანუ ჩვენ ახლა ვიწყებთ ინტერნეტის სიცოცხლისუნარიანობის შექმნას, - აცხადებს რატი აბულაძე. (commersant.ge)

რა განათლება აქვთ ქართველ პარლამენტარ ქალებს

საქართველოს პარლამენტში გენდერული ბალანსი საკმაოდ დარღვეულია - 150 პარლამენტარიდან ქალებს მხოლოდ 17 სადეპუტატო მანდატი ერგოთ...

რა განათლება აქვთ ქართველ პარლამენტარ ქალებს, სად და რა პროფესიას დაეუფლნენ ისინი?

ქალი დეპუტატების ბიოგრაფიის გაცნობისას განსაკუთრებული ყურადღება ფატი ხალვაშის პროფესიამ მიიპყრო. როგორც ირკვევა, ფატი ხალვაში საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ბათუმის ფილიალში ინჟინერ-ელექტრომექანიკოსის ფაკულტეტზე სწავლობდა და ელექტრული მანქანების სპეციალობასაც დაეუფლა.

იშვიათი პროფესიისაა კიდევ ერთი დეპუტატი ქალი - ნანა ყეინიშვილი. ის საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში, აგრონომის ფაკულტეტზე სწავლობდა - მისი სპეციალობა კი მეხილეობა, მებოსტნეობა და მევენახეობაა.

პროფესიით ბიოლოგია „ნაციონალური მოძრაობის" წევრი ხათუნა გოგორიშვილი. მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიოლოგის სპეციალობა შეისწავლა, თუმცა მოგვიანებით, სწავლა სამართალმცოდნის ფაკულტეტზე ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განაგრძო. ქიმიკოსია „თავისუფალი დემოკრატების" ერთ-ერთი ლიდერი ნინო გოგუაძე. მან განათლება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო.

პროფესიით ფსიქოლოგ-დეფექტოლოგია პარლამენტის კიდევ ერთი წევრი გუგული მაღრაძე. ის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფსიქოლოგიის ფაკულტეტზე სწავლობდა, თუმცა მისი განათლება ამით არ ამოიწურება. მაღრაძე ინგლისური ენის მასწავლებელიც გახლავთ, ამასთან, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამართალმცოდნის სტატუსიც მიიღო.

პროფესიით იურისტია ვიცე-სპიკერი მანანა კობახიძე. თავდაპირველად კობახიძე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ისტორიისა და საზოგადოებათმცოდნეობის მასწავლებლის პროფესიას დაეუფლა, თუმცა მალევე სწავლა თბილისის იურიდიულ ინსტიტუტში იურისტის სპეციალობით განაგრძო.

პროფესიით ქართული ენისა და ლიტერატურის ფილოლოგია „ნაციონალური მოძრაობის" კიდევ ერთი წევრი ეკა ხერხეულიძე. მან განათლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო, რომლის დასრულების შემდეგ თბილისის ტექნიკურ უნივერსიტეტში სწავლა სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე გააგრძელა.

თსუ-ში სამართალმცოდნის პროფესიას ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელიაც ეუფლებოდა - ის სპეციალობით იურისტია. ამავე უნივერსიტეტში სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე დეპუტატი მარიკა ვერულაშვილიც სწავლობდა.

იურისტის დიპლომი აქვს „რეს-პუბლიკელ" თამარ ხიდაშელსაც, რომელმაც განათლება კოლეგების მსგავსად ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მიიღო. ამასთან, ის საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტზე, ესექსის უნივერსიტეტში სწავლობდა.

საზღვარგარეთ მიიღო განათლება „ნაციონალური მოძრაობის" ერთ-ერთმა ლიდერმა თინა ბოკუჩავამაც. ის ფლეთჩერის დიპლომატიისა და სამართლის სკოლაში სწავლობდა, სადაც დიპლომატიასა და სამართალს დაეუფლა.

ჩიორა თაქთაქიშვილიც თსუ-ში დაეუფლა იურისტის სპეციალობას, სწავლა პარიზში განაგრძო, სადაც საჯარო სამართალი შეისწავლა.

პროფესიით სამართალმცოდნეა თამარ კორძაია, მან განათლება ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალში მიიღო.

სამართალმცოდნეა დეპუტატი მარიამ საჯაიაც. დაამთავრა კავკასიის უნივერსიტეტი სამართლის ბაკალავრის კვალიფიკაციით. მაგისტრატურის გასავლელად კი აშშ-ში ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტში გაემგზავრა ერთი წლით.

პარლამენტში ორი ქალი დეპუტატი პროფესიით ჟურნალისტია - ანი მიროტაძე და ელისო ჩაფიძე, თუმცა ამ უკანასკნელს სამართალმცოდნისა და გერმანული ენის სპეციალისტის დიპლომებიც აქვს.

მრავალფეროვანი პროფესიების მქონე ქალ დეპუტატებს შორის ერთი ექიმიცაა - საპარლამენტო უმრავლესობის წევრი დარეჯან ჩხეტიანი ექიმის სპეციალობას მოსკოვის ი.სეჩენკოს სახელობის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში ეუფლებოდა. (ambebi.ge)

გერმანიის შემდეგ, სომეხთა გენოციდის აღიარების თხოვნით ქვეყნის პარლამენტს ჩეხეთის პრეზიდენტმა მიმართა

1915 წლის მოვლენების სომეხთა გენოციდად აღიარებას გერმანიის ბუნდესტაგის შემდეგ, ქვეყნის პარლამენტისგან ამჯერად ჩეხეთის პრეზიდენტი მილოშ ზემანი ითხოვს. „დოიჩე ველეს" ინფორმაციით, ამის შესახებ პრეზიდენტმა სომხეთში ვიზიტისას განაცხადა. მილოშ ზემანმა გასულ საუკუნეში დაღუპულების მემორიალი ყვავილებით შეამკო.

ჩეხეთის სენატის თავმჯდომარე იან გამაჩეკმა პრეზიდენტის მოწოდება კრიტიკულად შეაფასა და აღნიშნა, რომ ისტორიული მოვლენები ისტორიკოსებმა უნდა შეაფასონ და არა პოლიტიკოსებმა.

2 ივნისს გერმანიის ბუნდესტაგმა რეზოლუციას დაუჭირა მხარი, რომლითაც 1915 წლის მოვლენები სომეხთა გენოციდად აღიარა. (ინტერპრესნიუსი)

ე.წ. სამხრეთ ოსეთის ვიცეპრემიერად გენერალ-მაიორი დაინიშნა

ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის ე.წ. ვიცე-პრემიერად 51 წლის გენერალ-მაიორი დიმიტრი კოზაევი დაინიშნა. კოზაევის დანიშვნის ბრძანებულებას ე.წ. სამხრეთ ოსეთის ლიდერმა ლეონიდ თიბილოვმა მოაწერა ხელი.

თიბილოვის თქმით, კოზაევი ე.წ. მთავრობაში ეკონომიკურ ბლოკს, ასევე, საბაჟო და საგადასახადო ორგანოებს გაუწევს კურირებას. დიმიტრი კოზაევმა კი აღნიშნა, რომ ის ოკუპირებულ რეგიონში მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების, ასევე, უცხოური ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობას აპირებს. (kvira.ge)

რამაზ საყვარელიძე: „ნაციონალური მოძრაობა" დღემდე აგრძელებს ქართული ხელისუფლების პოლიტიკური იმიჯის დამახინჯებას

პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძის შეფასებით, კოჰაბიტაციის პროცესის შედეგად „ნაციონალები" არათუ მოლბნენ და ადაპტირებადი გახდნენ ახალ სიტუაციასთან, არამედ უფრო გაძლიერდნენ თავის ბრძოლასა და აგრესიაში. პოლიტოლოგი მიიჩნევს, რომ „ნაციონალური მოძრაობა" დღემდე აგრძელებს ქართული ხელისუფლების პოლიტიკური იმიჯის დამახინჯებას.

– ბიძინა ივანიშვილი გვპირდებოდა, რომ საარჩევნო კამპანიაში ჩაერთვებოდა და ჩაება. მას აკრიტიკებენ, რომ პოლიტიკური სივრცე ისევ ორპოლუსიანი გახადა, რაც არასწორია. მან გააკეთა აქცენტი „ნაციონალურ მოძრაობაზე" იმიტომ, რომ კოჰაბიტაციის პროცესის შედეგად „ნაციონალები" არათუ მოლბნენ და ადაპტირებადი გახდნენ ახალ სიტუაციასთან, არამედ უფრო მოღონიერდნენ თავის ბრძოლასა და აგრესიაში. ეს გამოიხატა იმაშიც, რომ პარტია დღემდე აგრძელებს ქართული ხელისუფლების პოლიტიკური იმიჯის დამახინჯებას. საუბრობენ, რომ საქართველოს ორიენტაცია აქვს რუსეთისკენ, არ არის დაცული დემოკრატიული პრინციპები და ამის არგუმენტად მოჰყავთ „რუსთავი 2". „ნაციონალური მოძრაობა" ამტკიცებს დასავლეთში, რომ მას დევნიან არა სამართლებრივად, არამედ პოლიტიკურად, - აცხადებს საყვარელიძე.

მისივე თქმით, „ქართულ ოცნებას" და ბიძინა ივანიშვილს სჭირდება რომ „ნაციონალური მოძრაობა" მთავარი ოპოზიციური ძალა არ იყოს და მაქსიმუმ, საერთოდ არ იყვნენ პარლამენტში.

– „ნაციონალური მოძრაობა" უნდა დასუსტდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, „ქართულ ოცნებას", დასავლეთის გამოყენებით სამართლიანობის აღდგენის საშუალებას არ მისცემს, ამის გამო ჩაერთო ივანიშვილი და ბრძოლის ძირითად სამიზნედ „ნაციონალური მოძრაობა" გამოცხადა, — განაცხადა საყვარელიძემ. (pia.ge)

● ანუ, გამოდის, რომ ამჯერადაც ხმა იმიტომ უნდა მისცეს ამომრჩეველმა „ქართულ ოცნებას", რომ გამარჯვების შემდეგ „ნაციონალურ მოძრაობას" კუდით ქვას ასროლინებს? ძალიან რთული დასაჯერებელია ეს ამბავი, ძალიან!!!

პაატა ბურჭულაძის პარტიის ოფისიდან კომპიუტერი მოიპარეს

პარტია „პაატა ბურჭულაძე სახელმწიფო ხალხისთვის" ოფისიდან კომპიუტერი მოიპარეს. დაკარგული კომპიუტერი პარტიის ხელმძღვანელის მდივან გვანცა იობიძეს ეკუთვნოდა. იობიძე აცხადებს, რომ სამუშაო კომპიუტერი საღამოს პარტიის ოფისში დატოვა, თუმცა დილით აღარ დახვდა.როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში აცხადებენ, ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე (ქურდობის) მუხლით მიმდინარეობს. (kvira.ge)

ქუთაისში „კოტონის" ფილიალი გოგონებმა გაძარცვეს

ქუთაისში, „კოტონის" ფილიალიდან ნივთები მოიპარეს. თვითმხილველების განცხადებით, ექვსმა გოგონამ ტანსაცმელებს სამარკეები მოაჭრა და შენობიდან ისე გაიტანა.

„კოტონის" თანამშრომლებმა საპატრულო პოლიცია გამოიძახეს, რის შედეგადაც რამდენიმე ეჭვმიტანილი დააკავეს.

როგორც შსს პრესსამსახურში აცხადებენ, გამოძიება 177-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც ძარცვას გულისხმობს. (newpress.ge)

„ისლამური სახელმწიფო" პირამიდების აფეთქებით იმუქრება

ტერორისტული დაჯგუფება „ისლამური სახელმწიფო" ვიდეოს ავრცელებს, რომელშიც ეგვიპტის პირამიდების აფეთქებით იმუქრება.

ტერორისტების მიერ გავრცელებულ ვიდეორგოლში ნაჩვენებია ვიდეოჩანაწერი, რომელშიც ასახულია ერაყის ქალაქ ნიმრუდში მდებარე ნაბუს ღვთაების სახელობის ტაძრის აფეთქება, რასაც მოსდევს ეგვიპტის პირამიდების კადრი. მას თან ახლავს მუქარა ყველა უძველესი ღირსშესანიშნაობის აფეთქების შესახებ, რომელიც „ურწმუნოების" მიერ არის აშენებული. (ინტერპრესნიუსი)

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37

ამდენი ტყუილები?... ჰოო... არჩევნები მოდის!

რა უსაყვედურა და ექსპერტების რა რჩევები არ გაითვალისწინა ივანიშვილმა?

7 ნოემბერს ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას, საკმაოდ დიდი დრო დაუთმო ქვეყნის ეკონომიკასა და სოციალურ მდგომარეობაზე, საქართველოს მთავრობისა და პრემიერის ეფექტურ მუშაობაზე საუბარს. თუმცა, იქვე დასძინა, რომ საქართველოს ეკონომიკა ექვსჯერ ჩამორჩება ევროპის ქვეყნების ეკონომიკას. მთავრობის ეფექტურობა სხვადასხვა პარამეტრებით განისაზღვრება, მაგრამ ნებისმიერი მთავრობის მუშაობა იმით ფასდება, რამდენად ეფექტურად ვითარდება მის ხელში ეკონომიკა და რამდენად უზრუნველყოფილია მოსახლეობა.

ივანიშვილი გვპირდებოდა, რომ ინვესტორებს მოიზიდავდა და მილიარდობით დოლარს ჩაადებინებდა ქვეყნის ეკონომიკაში. მისი ეს წინასაარჩევნო დაპირება კი კვირიკაშვილს უნდა შეესრულებინა. არც ერთი სერიოზული ინვესტორი არ შემოსულა ქვეყანაში მისი ეკონომიკის მინისტრობის დროს, არც ადგილობრივ ბიზნესმენებს ჩაუდიათ უწინდელზე მეტი კაპიტალი ქვეყნის ეკონომიკაში, რომ ლარს „ფეხზე წამოდგომაში“ დახმარებოდა. პირიქით, ლარის გაუფასურების გამო ბიზნესობიექტები ერთმანეთის მიყოლებით იხურებოდა. მთავრობის ეკონომიკური ბლოკი სრულიად უუნარო აღმოჩნდა ამ გამოწვევის წინაშე, ლარს ვერაფერი მოუხერხა.

ბიძინა ივანიშვილი ეკონომიკური სფეროს ქართველ ექსპერტებსაც შემოსწყრა. „მე მოლოდინი მქონდა, რომ ოპოზიციურად განწყობილი სპეციალისტები რაღაც იდეებს შემოიტანდნენ, ჯერჯერობით მსგავსი ვერაფერი ვნახეთ“-ო. ივანიშვილი იქვე აცხადებს, რომ ტელევიზიებს იშვიათად უყურებს და ინფორმაციებს ვკითხულობ, ისე ვეცნობიო. გამოდის, ექსპრემიერი იმ ექსპერტების მოსაზრებებსაც იცნობს, რომელთა შესახებაც აცხადებს, მათი იდეები ჯერჯერობით ვერ ვნახეო. როცა რამის დანახვა არ გინდა, ცხვირწინ რომ დაგიდონ, მაინც ვერ დაინახავ.

„ოცნებას“ „მოწყვეტილი“ ექსპერტები მუდმივად სთავაზობდნენ ივანიშვილს ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების სხვადასხვა საშუალებებს და მათი ეს ინტერვიუები თუ ბრიფინგები იმ სააგენტოებით ვრცელდებოდა, ივანიშვილი რომ კითხულობს. ადმინისტრაციული ხარჯები შეამცირე და დაზოგილი თანხა ისეთ პროექტებს მოახმარე, რომელიც უფრო მეტ ფულს მოგიბრუნებსო, ურჩევდნენ, მაგრამ რა გააკეთა ამის საპასუხოდ? ადგა და კი არ შეამცირა, პრაქტიკა დანერგა, ყოველწლიურად იზრდება ადმინისტრაციული ხარჯები, კიდევ უფრო გაქსუვდნენ ჩვენი ჩინოვნიკები. ხელისუფლებას ბალანსზე არაერთი ობიექტი აქვს, რომელთაც ვერ იყენებს, ეს ობიექტები უნდა გადაეცეთ ინვესტორებს თუნდაც სიმბოლურ ფასად, მათში საწარმოების გახსნა, ამუშავება ეკონომიკას მნიშვნელოვნად შეეხიდება და სამუშაო ადგილებიც გაჩნდებაო, – აცხადებდნენ ექსპერტები. არა, დააჯდა ამ ობიექტებს ხელისუფლება, არც თავად აქვს მათი ამუშავების თავი და არც სხვას აძლევს, რომ აამუშაონ. ეს მართლა მნიშვნელოვანი რჩევა რატომ არ გაითვალისწინა ივანიშვილმა, დავიჯერო, გამორჩა იმ სააგენტოების კითხვისას?

როცა ლარი კატასტროფულად გაუფასურდა, ჩვენი ექსპერტები თითქმის ერთხმად აცხადებდნენ, რომ ეს ეროვნული ბანკის საბოტაჟით იყო გამოწვეული, გამოსავალსაც სთავაზობდნენ, – ადექი, მოხსენი გიორგი ქადაგიძე ეროვნული ბანკის პრეზიდენტობიდან და ყველაფერი დალაგდებაო. ამის გაკეთება ივანიშვილს მარტივად შეეძლო, უნდა შეეკრიბა „ქართული ოცნების“ 76 დეპუტატი და 10 წუთში გადააყენებდნენ ქადაგიძეს. არა, ეს არ გააკეთა, პირიქით, აღიარა, ქადაგიძე დასაჭერი იყო, მაგრამ მსოფლიო ბანკმა მთხოვა, ხელი არ ახლოო. ფაქტი ხომ სახეზეა, წავიდა ქადაგიძე, დაინიშნა ახალი პრეზიდენტი და ლარმა დაიწყო განუხრელი გამყარება, ანუ დადასტურდა, რომ ექსპერტები მართლები იყვნენ. როგორ შეიძლება ახლა, ბიძინა ივანიშვილის საქციელი შევაფასოთ? ის მშვიდად ადევნებდა თვალს ქადაგიძის საბოტაჟს, დანაშაულს წაუყრუა, ასევე, მშვიდად უყურებდა, ხალხი როგორ ღარიბდებოდა, სამაგიეროდ, როგორც ბოროტი ენები ამბობენ, მისი „ქართუ ბანკი“ ლარის კურსის ცვალებადობით მილიონებს შოულობდა. ამის შემდეგ ეს კაცი გამოდის და აცხადებს, ჩვენი სპეციალისტები საინტერესო იდეებს ვერ მთავაზობენო. სთავაზობენ, მაგრამ არ უნდა მათი აზრის მოსმენა, გაზიარება, რადგან ეს ექსპერტები მის დაკრულზე არ ცეკვავენ, იმას არ ამბობენ, რაც მას ესიამოვნება, აკრიტიკებენ მის უუნარო მთავრობასა და ამ მთავრობის ეკონომიკურ პოლიტიკას, სიმართლეს ლაპარაკობენ და არა იმას, რაც ივანიშვილს ესიამოვნება. ბიძინა ივანიშვილს ჰყავს თავისი ეკონომიკური ექსპერტები, იმათ უგდებს ყურს, მათ რჩევებსაც იზიარებს, ალბათ, და ამიტომაც გვაქვს საქმე შავად, თუ თავზე არ დაგვემხო ეს ქვეყანა და შიმშილით არ გაწყდა ნახევარი საქართველო, კარგი იქნება.

სამწუხარო რეალობა ის არის, რომ ბიძინა ივანიშვილმა და მისმა სამთავრობო გუნდმა ვერ გაამართლა, ქვეყნის ეკონომიკა უკან და უკან მიდის, ხალხის მდგომარეობის დღითი დღე გაუარესებაა ამის დასტური, მაგრამ ამის დანახვა მას არ უნდა.

„ალიამ" ეროვნული ბანკის ყოფილ პრეზიდეტსა და ეკონომიკის ექსპერტს, რომან გოცირიძეს ერთადერთი კითხვით მიმართა: აძლევდით ხელისუფლებას რჩევებს და თქვენი რომელიმე რჩევა გაითვალისწინა?

„ამ 4 წლის განმავლობაში არ ყოფილა, ფაქტობრივად, არც ერთი ეკონომიკური საკითხი, რომელიც მთავრობას წამოეწიოს და რომლებთან დაკავშირებითაც არ მქონია საკუთარი პოზიცია. თუ იყო მოსაწონი, ვუჭერდი მხარს, თუ არა და ვაკრიტიკებდი. თუნაც, ეროვნული ბანკიდან ზედამხედველობის სამსახურის გამოყოფის საკითხი ავიღოთ. ჩვენ ვამბობდით, რომ ამის გაკეთება არ შეიძლებოდა, მაგრამ ხელისუფლებამ საპირისპიროდ გადაწყვიტა. თუმცა, დღეს ამბობენ მთავრობაში, რომ კარგი იქნება, თუ ზედამხედველობის სამსახური ეროვნულ ბანკს დაუბრუნდება. სამწუხაროდ, ამ 4 წლის განმავლობაში ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა ხელისუფლებამ სწორედ იმიტომ, რომ არ იქნა გათვალისწინებული კვალიფიციური ადამიანების შენიშვნები და რჩევები. ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციების რჩევები, ინვესტიციების მოზიდვის კუთხით, საგადასახადო სისტემის გაუმჯობესების კუთხით, იგივე მთავრობის მიერ მარეგულირებელი ნორმების შემოღების კუთხით... კონკრეტულად, ტურიზმთან დაკავშირებული მარეგულირებელი ნორმების შემოღება გავიხსენოთ, როცა ტურისტების შემოსვლა რთულდებოდა, პირადად ვაფრთხილებდი მთავრობას, რომ ეს აზარალებდა ქვეყანას, მხოლოდ 2 წლის შემდეგ მიხვდნენ ამას და გააუქმეს. ვეუბნებოდი, რომ ნუ მიიღებდნენ დაუბეგრავი მინიმუმის შესახებ საგადასახადო ცვლილებებს, რაც 2 წლის მერე ისევ შესაცვლელი გაუხდათ. ზოგ შემთხვევაში იძულებულნი ხდებოდნენ უკან დაეხიათ, იქ, სადაც უკან არ დაიხიეს, შედეგები იყო უარყოფითი. საბიუჯეტო სახსრების არასწორად და არაეფექტურად გამოყენების გამო ვაკრიტიკებდი, ბიუროკრატიული ხარჯების შემცირებას ვურჩევდი და დღესაც ვურჩევ. ვეუბნებოდი, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებში ახალ, არასაჭირო შტატებს ნუ ქმნიან და ნუ აჰყავთ ხალხი, ახალ და ახალ სახელმწიფო ორგანიზაციებს ნუ ქმნიან, ამასაც ვეუბნებოდი... თუნდაც თბილისის მერიიის „ბიზნესის განვითარების ხელშეწობის ცენტრის" შექმნა ავიღოთ, რომელიც თბილისის ყოფილ ვიცე-მერს, მარგიშვილს შეუქმნეს. ყველა, ასე ვთქვათ, არასახელისუფლებო ექსპერტი იმას იძახდა, რომ ამის გაკეთება უზრობა იყო და საბიუჯეტი სახრები წყალში გადაიყრებოდა, არ დაგვიჯერეს, მაგრამ 1 წლის შემდეგ ადგნენ და გააუქმეს.

რომან გოცირიძის გარდა, ხელისუფლებას კვალიფიციურ რჩევებს აძლევდნენ ეკონიმიკის ექსპერტი ემზარ ჯგერენაია და პარლამენტარი, ზურაბ ჯაფარიძე. მაგრამ ბიძინა ინანიშვილის ხელისუფლებას არც მათი რჩევები გაუზიარებია.

ზურაბ ჯაფარიძე: „შეწყვიტეთ ილუზორული, არარეალისტური და დამაბნეველი დაპირებების გაცემა. შეიძლება ეს მომგებიანი იყოს პოლიტიკური თვალსაზრისით, მაგრამ არასტაბილურობის განცდას აჩენს კერძო სე-

როცა ლარი კატასტროფულად გაუფასურდა, ჩვენი ექსპერტები თითქმის ერთხმად აცხადებდნენ, რომ ეს ეროვნული ბანკის საბოტაჟით იყო გამოწვეული, გამოსავალსაც სთავაზობდნენ, – ადექი, მოხსენი გიორგი ქადაგიძე ეროვნული ბანკის პრეზიდენტობიდან და ყველაფერი დალაგდებაო... არა, ეს არ გააკეთა, პირიქით, აღიარა, ქადაგიძე დასაჭერი იყო, მაგრამ მსოფლიო ბანკმა მთხოვა, ხელი არ ახლოო. ფაქტი ხომ სახეზეა, წავიდა ქადაგიძე, დაინიშნა ახალი პრეზიდენტი და ლარმა დაიწყო განუხრელი გამყარება, ანუ დადასტურდა, რომ ექსპერტები მართლები იყვნენ“

გაგრძელება მე 13 გვერდზე

50 წლის მამაკაცის მკვლელობაში ბრალდებული სარფის საბაჟოზე დააკავეს

50 წლის მაიზერ ბანძელაძის განზრახ მკვლელობაში ეჭვმიტანილი იმ დროს დააკავეს, როცა ის ქვეყნის დატოვებას ცდილობდა.

შს სამინისტროს ინფორმაციით, სამართალდამცავებმა 1987 წელს დაბადებული დურმიშხან ლ. სარფის გამშვებ პუნქტიდან აიყვანეს.

– გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 6 ივნისს ქუთაისში, ლესელიძის ქუჩაზე, ურთიერთშელაპარაკებისას, 1966 წელს დაბადებულ მაიზერ ბ.-ს ცივი იარაღით სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დაჭრილი მამაკაცი საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა. სამართალდამცველებმა ბრალდებული მომხდარიდან რამდენიმე საათში, სარფის გამშვებ პუნქტში იმ დროს დააკავეს, როდესაც ის ქვეყნის დატოვებას ცდილობდა. გამოძიება განზრახ მკვლელობის ფაქტზე მიმდინარეობს (საქართველოს სსკ-ს 108-ე მუხლით)- აღნიშნულია შს სამინისტროს განცხადებაში. (ნიუპოსტი)

ყვარელში უკვე მეორე დღეა ასწლოვან ხეებს ჭრიან



ყვარლის რაიონის სოფელ შილდაში უკვე მეორე დღეა ასწლოვან ხეებს ჭრიან. სოფლის ცენტრში მდებარე სკვერთან სამუშაოები ადგილობრივი ხელისუფლების ნებართვით მიმდინარეობს.

ადგილობრივები ამბობენ, რომ ნაძვის, ცაცხვისა და კედარის ხეების განადგურება უკანონოდ ხდება და ფიქრობენ, რომ მასალა გასაყიდად მზადდება.

რაც შეეხება საკრებულოს თავმჯდომარეს, მისი ინფორმაციით, ხელისუფლებამ რამდენიმე ოჯახის მოთხოვნა გაითვალისწინა. მისი თქმით, ხეების ყვავილობის დროს გამოყოფილი მტვერი დაავადებების გაჩენას იწვევდა. (პირველი რადიო)

● **ონოფრეეე — გაჩეხეთ მაშინ ტყეები, ამ ლოგიკით ტყიდან რომ საფრთხე მოდის, ატომური ბომბის არ უნდა გვეშინოდეს ასე! ვაახ, კაცოოო!!!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

რომ ვუახლოვდებით, ეგ დიდი ხანია, ვიცით, მაგრამ რით ვეღარ მიგვიღეთ, აფერისტებო?!

– საქართველო ნატოს მნიშვნელოვანი პარტნიორია და საქართველო უახლოვდება ნატოს, — ამის შესახებ ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა ბრიუსელში, საქართველოს პრეზიდენტ გიორგი მარგველაშვილთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.სტოლტენბერგმა ხაზი გაუსვა საქართველოს წვლილს საერთაშორისო მისიებში და აღნიშნა, რომ ქართველი სამხედროები ნატოს კოლეგებთან ერთად მხარდამხარ იბრძვიან. მან საქართველო-ნატოს თანამშრომლობა მიმოიხილა და არსებითი პაკეტის იმპლემენტაციაზე, ასევე, საწვრთნელი ცენტრის მუშაობაზე ისაუბრა.

– მადლობას ვუხდი ქართველ ხალხს ამ მისიებში კონტრიბუციისთვის, — განაცხადა სტოლტენბერგმა.

მისივე თქმით, საქართველომ მნიშვნელოვანი რეფორმები გაატარა.

– ეს ნატოს ძლიერი მხარდაჭერის სიგნალია. ნატო საქართველოსთვის დახმარების გაგრძელების ერთგულია, — აღნიშნა სტოლტენბერგმა.

თავის მხრივ, საქართველოს პრეზიდენტმა განაცხადა, რომ საქართველოსთვის ნატოს წევრობა არის ქვეყნის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი. გიორგი

მარგველაშვილის თქმით, შეხვედრაზე მან ნატოს გენერალურ მდივანს მიაწოდა ინფორმაცია ოკუპირებულ ტერიტორიებსა და ადმინისტრაციულ საზღვრებზე არსებული ვითარების შესახებ.

– ჩვენ ევროატლანტიკური ინტეგრაციის დემოკრატიული პროცესების გაგრძელების ერთგული ვართ. საპარლამენტო არჩევნები გახდება კიდევ ერთი ნაბიჯი ევროატლანტიკური ინტეგრაციის გზაზე, — განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა. (kvira.ge)

● **პატივცემულო იენს, ერთი აქეთ მოიხედეთ, რა: რეფორმები გავატარეთ კი არა, ნატოს გამო ამხელა ბაყბაყდევს ვეტაკებით, რომელიც მიხვდებით, ალბათ, რუსეთია, ჩემო ბატონო და როგორ არ დაიღალეთ დიდი და პატარა ამ ერთი და იმავეს რომ ლაპარაკობთ გაუთავებლად, თქვით ჰალალად — გვიღებთ ალიანსში თუ არა, თორემ შემოვიდა თბილისში რუსის ჯარი და ეგაა, ბიჯოს!**

„ხელისუფლების მთავარი პრობლემა ის არის, რომ გაკეთებული საქმე ადეკვატურად არ შუქდება“

თსუ-ს ანალიზისა და პროგნოზირების ცენტრის ხელმძღვანელი ვახტანგ ჭარაია აცხადებს, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გაკეთებული საქმის ადეკვატურად გაშუქებას.

– ხელისუფლების მთავარი პრობლემა არის ის, რომ არ ხდება გაკეთებული საქმის ადეკვატურად გაშუქება, რაც არანაირად არ ამართლებს ამ მთავრობას. თუ გააკეთე, უნდა გააშუქო კიდეც და თუ ვერ აშუქებ, ეს შეიძლება გადამწყვეტი იყოს საზოგადოებასთან ურთიერთობის დროს. აქ ვხედავ უდიდეს პრობლემას, - განაცხადა ვახტანგ ჭარაიამ ბიძინა ივანიშვილის შეხვედრის შეფასებისას.

მან განხორციელებულ პროექტებზეც ისუაბრა და აღნიშნა, რომ განხორციელებული პროექტების შედეგები, რიგ შემთხვევებში უკეთესია, ვიდრე წინა ხელისუფლების დროს, მაგრამ არა ყველაფერში.

– უპირატესობის მხრივ შიძლება გამოვყოთ, რომ შემცირდა უმუშევრობის მაჩვენებელი, დაიგო მეტი გზა, აშენდა ახალი საწარმოები, დიდი ყურადღება ექცევა განათლების დაფინასნებას, რადგან მილიარდამდე გაიზარდა ამ სექტორის ბიუჯეტი. ტექნოლოგიურ ინსტიტუტს ჩაეყარა საფუძველი, რაც იმას ნიშნავს, რომ საქართველო სამეცნიერო მიმართულებით განვითარებადი ქვეყნების რიცხვში ჩაიწერება, - განაცხადა ჭარაიამ და აღნიშნა, რომ მიუხედავად ამისა, არის გარკვეული ხარვეზებიც.

მისი თქმით, ეროვნული ვალუტის საკითხთან დაკავშირებით მთავრობა არ იყო მოწოდების სიმაღლეზე, მას მეტის გაკეთება და ეროვნულ ბანკზე მეტი ზეწოლის განხორციელება შეეძლო. (kvira.ge)

● **აი, ამას წერს „ალია“ უკვე რამდენი ხანია, მაგრამ ესმის „ოცნებას“? არა! როცა აკეთებთ რამეს, თქვე დალოცვილებო, ის თუ არ გააშუქეთ, თუ არ გაარეკლამეთ, „ამირან გულში მღეროდა“ გამოგდით და მერე გწყინთ ხოლმე რაღაც-რუღაცები.**

„ივანიშვილის მორიგ პარანოიას ისევ ბუნება და ბოტანიკური ბაღი ეწირება“

თბილისის საკრებულის წევრი „ნაციონალური მოძრაობიდან" ირაკლი აბესაძე ბოტანიკურ ბაღში ჰიდროელექტროსადგურის შესაძლო მშენებლობის შესახებ სოციალურ ქსელში საუბრობს.

– მორიგი მავნებლობა ბოტანიკურ ბაღში — მაშინ, როდესაც მილიარდერის წინასაარჩევნო დაპირების - ელექტროენერგიის საფასურის დრამატულად შემცირების შესახებ - საპირისპიროდ დენის ტარიფი მოსახლეობისთვის ისევ გაიზარდა;

- მაშინ, როდესაც ენერგეტიკის სფეროში საინვესტიციო გარემო გაუარესდა, ინვესტიციების მოცულობა შემცირდა, დენის გამორთვა უფრო და უფრო ხშირი ხდება და მოსახლეობას ეს დავიწყებული პრობლემა ახსენებს თავს, ვიღაცამ გადაწყვიტა მაინცდამაინც ბოტანიკურ ბაღში დადგას, არც მეტი არც ნაკლები - ჰესი... თანაც მაინცდამაინც მილიარდერის კუთვნილი ტელევიზიისა და რეზიდენციის ზუსტად მიმდებარედ. მერიამ რატომღაც გადაწყვიტა, ამ „ვიღაცის" მოთხოვნა ისევ გაასაიდუმლოს და ბოტანიკური ბაღის ტერიტორიის გასხვისებაზე ან/და იქ ჰესის განთავსებაზე განხილვა ისევ ფარულად ჩაატაროს...

როგორც ჩანს, მორიგი საწარმო იხსნება (იმ ასეულობით „გახსნილის" მსგავსად) და ისევ „ხალხის" (ბიძინას) კეთილდღეობაზე ზრუნავენ.

P.S. არ ვიცი, რამდენად სახუმაროა, მაგრამ როგორც ჩანს, ივანიშვილის მორიგ პარანოიას, მის

სიმშვიდესა და ენერგეტიკულ უსაფრთხოებას (მათ შორის იაფი დენით უზრუნველყოფას) ისევ ბუნება და ბოტანიკური ბაღი ეწირება.

P.P.S. სხვა ვინაა საქართველოში, ვისაც შეუძლია 600 000 დოლარი დახარჯოს პირადი მოხმარების (მცირე სიმძლავრის) ჰესის ასაშენებლად, ნაცვლად იმისა, რომ ეს ფული დაპირებისამებრ საზოგადოებისთვის სასარგებლო პროექტს მოახმაროს?!

P.P.P.S. ბევრს აღარ ვწერ წავკისის ველზე მოსაწყობ კაშხალზე, რომელიც ცვლის იქ გარემოს, კლიმატს და გარკვეულ საფრთხეებს შეიცავს მოსახლეობისთვის, - წერს აბესაძე.

შეგახსენებთ, რომ დავით ნარმანია „ნაციონალური მოძრაობის“ ამ ინფორმაციას უარყოფს. (პირველი რადიო)

„ხათრიანი ხადური როგორ წარმოგიდგენიათ?“

პოლიტიკური მოძრაობა „გირჩის“ ერთ-ერთი ლიდერისთვის გაუგებარია, რომელი მინისტრი მუშაობს მთავრობაში „ხათრით“ და ამბობს, რომ უჭირს წარმოიდგინოს „ხათრიანი ხადური“.

– მე ოთხი წელი ვიყავი მინისტრად და ვერ ვიხსენებ ხათრით რომ ვყოფილიყავი. შეიძლება ბიძინა ივანიშვილთან არიან ხათრით და იქ გამოხატავენ ამ ხათრს. ხათრიანი ხადური როგორ წარმოგიდგენიათ? ვისი ხათრით არიან? ხალხის ხათრით თუ არიან, არა უშავს. ალბათ, ბიძინა ივანიშვილის ხათრით არიან. მოხათრებული მინისტრთა კაბინეტი გვყოლია, - განაცხადა გოგა ხაჩიძემ.

როგორც ბიძინა ივანიშვილმა ჟურნალისტებთან შეხვედრაზე განაცხადა, ბევრი წევრი მთავრობაში „ხათრით არის შერჩენილი". (პირველი რადიო)

„საქართველოში საღამოს რომ ვიტყოდი, დილის 6 საათზე მშენებლობა იწყებოდა“

მიხელ სააკაშვილი დროებით კაბინეტში - ოდესა-რენის გზაზე, კარავში განთავსდა. ოდესის გუბერნატორი აღნიშნულ ადგილას იქამდე აპირებს მუშაობას, სანამ „ოდესა-რენის" ავტომაგისტრალის მშენებლობა არ დასრულდება. მან კარავში პირველი შეხვედრები და თათბირიც უკვე გამართა. სააკაშვილი ჟურნალისტებსაც შეხვდა:

– ქვეყანაში წესრიგი უნდა დამყარდეს. აქ სრული არეულობაა სამართავ მექანიზმში. პატარა საქართველოს პრეზიდენტი ვიყავი. ვინმე მეტყოდა, რომ გზისთვის 40 მილიონ ევროს ვერ ვიშოვიდით? საღამოს რომ ვიტყოდი, დილის 6 საათზე მშენებლობა იწყებოდა, - განაცხადა ოდესის გუბერნატორმა. (პირველი რადიო)

● **ყურადღება მიაქციეთ მის სიტყვებს: „ვინმე მეტყოდა, რომ გზისთვის 40 მილიონს ვერ ვიშოვიდით?“ — ეტყოდა და კაი ჩიტსაც დაიჭერდა და ნასროლ საფერფლეს თუ მოხერხებულად აიცილებდა, რჩევას მიიღებდა — გაატყავეთ ნებისმიერი ბიზნესმენი, იშოვეთ ფული და შეუბერეთ — ხალხი გვყავს „დასაბოლებელი“.**

ჰოდა, ასეთი უშტრიკინე რომ იყავი, იმიტომაც მოგაძრო ხალხმა, მიხეილ, მააშ!

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33

ექვსი „ჩამჭრელი“ კითხვა ბიძინა ივანიშვილს

რა მტკიცებულებების დადებას აპირებს ზაზა ხატიაშვილი ივანიშვილისთვის?

გუშინ „ადვოკატთა ასოციაციის პრეზიდენტმა, ზაზა ხატიაშვილმა ბიძინა ივანიშვილს ღია წერილით მიმართა და ტელედებატებში გამოიწვია:

„ბატონო ივანიშვილო-მურუსიძე! როგორც იქნა, მახსენე თქვენი ბრიფინგის დროს. ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარესთან მიმართებაში ვერ დამალე ბოღმა, რომელიც ვერანაირად ვერ გადაიბირე, მიუხედავად მცდელობებისა ვერ დაიმონე. სამოქალაქო საზოგადოების თვალში გამხილე, როგორც მატყუარა, მურუსიძეების დამცველი და სამოქალაქო საზოგადოების მტერი. 2006 წელს, გიორგი მიქიაშვილის წამების შემდეგ, დავიწყე მოძრაობა მურუსიძეების სასამართლოსგან გათავისუფლების მიზნით. რვა წელი ვიბრძოდი მიქიაშვილის წამების საქმესთან დაკავშირებით. საბოლოოდ, 2012 წელს ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში სასამართლო პროცესი მოვიგე, რომელმაც მიქიაშვილის წამება დაადასტურა – არაადამიანური, არაჰუმანური მოპყრობა. ვიფიქრე, მიქიაშვილის საქმის მოგების შემდეგ, მურუსიძეს საბრალდებო სკამზე დასვამდი, მაგრამ მოხვედი ხელისუფლებაში, სამოქალაქო საზოგადოებას უღალატე და მურუსიძის და მისნაირი მოსამართლეების დამცველად მოგვევლინე... თანახმა ვარ, თქვენს ტელევიზიაში მოვიდე სრულიად მარტო და მოვიტანო მტკიცებულებები, რამდენი საშინელება ჩაიდინეთ“

რა კითხვებს დაუსვემდა და რას ეტყოდა ივანიშვილს ტელედებატებში? რა მტკიცებულებების მიტანას აპირებს, თუკი ივანიშვილი დებატებს დათანხმდა?

„ალიას“ ზაზა ხატიაშვილი ესაუბრა:

— მოდით, ჩავთვალოთ, რომ ახლა თქვენ წინ ბიძინა ივანიშვილი ზის. რას ჰკითხავდით და რას ეტყოდით მას?

– პირველი ამას ვეტყოდი: მე არ გამიგია, რომელიმე სხვა ქვეყნის ხელისუფლებას ყაჩაღობაში ბრალდებული პირი, რომლის იურიდიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, სავარაუდოდ, გაყალბებული იყო, დაენიშნა მთავარ პროკურორად. თუ იცის მან სახელმწიფო, სადაც ასეთი ფაქტი მომხდარა? მან შეხვედრაზე თქვა, – სააკაშვილზე უარესი რა გავაკეთეო. მოდი, აქედან დავიწყოთ: ჯერ ერთი, თავის თავს სააკაშვილს რატომ ადარებს? სააკაშვილი იყო რეჟიმი და ივანიშვილი იმიტომ მოვიდა, რომ ქვეყანაში რეჟიმი არ ყოფილიყო. ფეოდალიზმი დაამყარეო, ამისთვის კი არ მოუყვანია სამოქალაქო საზოგადოებას, ხომ? მეორე: ჩემთვის მთავარია სამართლებრივი საკითხები. თქვენ გახსოვთ, წინასაარჩევნოდ ქიმერიძე ხაშურის პოლიციაში ოიხატებოდაო... მე მას ვკითხავდი: საიდან იცოდი შენ გრიფით „საიდუმლო“ სისხლის სამართლის მასალები? ვინ მოგიტანა? თუ მოგიტანეს და გაჩვენეს, ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული იმ პირის მიმართ, ვინც მოგიტანა და შენი მხრიდანაც მისი გახმაურება არის, ასევე, სისხლის სამართლის დანაშაული.

მეოთხე: სახაზინო ადვოკატი გიორგი მდინარაძე აწამეს, რომელიც კლიენტებს უფასოდ ემსახურება. არასრულწლოვანი იყო დაკავებული და არასრულწლოვნის დაცვა არის სავალდებულო საქმე. ღამე დაურეკეს, ააყენეს ეს ადამიანი, პირველ საათზე გაიყვანეს. მივიდა და თქვა, არასრულწლოვნის ღამე დაკითხვა არ შეიძლება, რომ მას აქვს დუმილის უფლება და უთხრა, არ დაკითხოთო. როგორ თუ შენ ეს კონსულტაცია მიეციო? მდინარაძეს ბორკილები დაადეს, ისე აწამეს. შემდეგ მისი მწამებელი პასუხისგებაში კი მისცეს, მაგრამ რა აბსურდია – მდინარაძე რომ პოლიციის უფროსმა დააკავა, თანამდებობრივ უფლებამოსილებას გადაამეტა და ვინც ბორკილები დაადო, ეს ხომ უკანონო დაკავება და სისხლის სამართლის დანაშაულია? და ეს ადამიანები ისევ პოლიციაში მუშაობენ. მაინტერესებს, რა პასუხს გამცემდა ამ ყველაფერზე ბატონი ბიძინა? მეხუთე: თუ ლევან მურუსიძე გახდებოდა ხელშეუხებელი ფიგურა და თქვენ იტყოდით, რომ ის არის მსხვერპლი და მურუსიძეებზე ააგებდი სასამართლო, პროკურატურის სისტემას, ამას წინასწარ არჩევნებამდე რატომ არ ამბობდით?

— მაგას როგორ იტყოდა, იქვე დამთავრდებოდა მისი პოლიტიკური კარიერის სტარტი.

– კი, ბატონო, ეს რომ ეთქვა, მაშინ ხმების 5-პროცენტიან ბარიერსაც ხომ ვერ გადალახავდა? რატომ მოიტყუეთ, ბატონო ბიძინა? ჟურნალისტებთან შეხვედრაზე მათ ეუბნებოდა, ცრუობთო... შენ რატომ იცრუე-თქო, ვეტყოდი. არ ვიცრუეო, მეტყოდა? – ავდგებოდი და კადრებს დავუდებდი, რა განცხადებებს აკეთებდა. მეექვსე: ელემენტარულად, ამასაც ვკითხავდი: ამბობდით, რომ უნდა აღდგეს სამართლიანობა, 26 ათასმა ადამიანმა, რომელსაც მიმართეთ, პროკურატურაში საჩივარი შემოიტანეთო, ასე გააკეთეს და ამდენ ადამიანს წერილში მისწერეთ, ხარვეზების დამდგენი კომისია შეიქმნებაო. ერთი წლის შემდეგ კი მისწერეთ, ხარვეზების დამდგენი კომისია არ იქმნებაო და საქმეები ვის გადააწერეს, იცი? იმ პროკურორებს, ვისაც ეს ხალხი უჩიოდა და რომლებმაც ეს ხალხი გააკულაკეს. ივანიშვილს ვეტყვი: თუ თქვენ არ უნდა შეგექმნათ უკანონოდ დაპატიმრებული ადამიანების საქმეების გადასინჯვის მექანიზმი, თუ თქვენ, მაგალითად, არ უნდა შეგექმნათ დამოუკიდებელი გამოძიება, რატომ ამბობდით, სამართლიანობა აღდგებაო? რას მიპასუხებდა ამაზე?

— თქვენ იურისტი ბრძანდებით და რა სამართლებრივი ბერკეტები გაქვთ იმისთვის, რომ ეს ყველაფერი, რაზეც ახლა ისაუბრეთ, სამართლებრივ სიბრტყეში გადაიტანოთ ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ?

– სამართლებრივი ბერკეტი არის ის, რომ ჩვენ, ხალხი, რომ ვიდექით, ვინც ძალადობას ვაპროტესტებდით და ვერავინ ვერ გვიყიდა – ხალხი არ უნდა გაიყიდოს ახლა და არჩევნებზე ხმა საქართველოს მომავალს უნდა მისცენ. სამართლებრივად არჩევნებმა უნდა გადაწყვიტოს ბევრი რამ. საქართველოს მოსახლეობა ხომ ხედავს, რომ ქვეყანას, ფაქტობრივად, მართავს არაფორმალური მმართველი ივანიშვილი, რომელიც საერთოდ სამართლებრივი სივრციდან გამოსულია და ჟურნალისტებს უქნევს ხელს, ცუდ კითხვებს რატომ უსვამენ. ეს ადამიანი ვერ იტანს საპირისპირო აზრს და ყველას თითს უქნევს. ამ ქვეყნისთვის ძალიან ცუდია, თუ ერთი რომელიმე პოლიტიკური ძალა, როგორი კარგიც არ უნდა იყოს, მოვა აბსოლუტურ უმრავლესობაში, ეს არის უკვე დიქტატურა. ბიძინა ივანიშვილმა დააანონსა, 95 დეპუტატი უნდა გავიყვანოო. ეს არის დავალების მიცემა სამართალდამცავ ორგანოებზე და ხალხი ცოტა უნდა გამოფხიზლდეს.

— პერსონალურად თქვენ თუ შეგიძლიათ, ბიძინა ივანიშვილს, თქვენი თქმით, იმ საშინელებებზე მოსთხოვოთ სამართლებრივი პასუხი, რაზეც მტკიცებულებები გაქვთ?

– კი, მე მას სამართლებრივად მოვთხოვ პასუხს მაშინ, როცა ის ქვეყნის სათავეში არ იქნება.

— მაინც, რატომ არის თქვენ-ზე გამწარებული, რა აწყენინეთ ასეთი?

– ივანიშვილი იცით, რის გამოა ჩემზე გამწარებული? ევა გოცირიძეს რომ შეჰპირდნენ და რომ არ დავანიშნინე. მე ახლა 13 ივნისს შიმშილობას ვიწყებდი სტრასბურგში, 14-15-ში არის ხოლმე დიდი კონფერენცია და მე ვესწრები ხოლმე. სტრასბურგმა ბილეთი გამომიგზავნა და ვიფიქრე, სამი დღე ვიშიმშილებდი. როგორც კი ეს აქ გაიგეს, ეგრევე წარადგინეს ხალხი და სტრასბურგს ვუთხარი, 15-16-ში ჩამოვალ-თქო. მე, ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარე, იქ რომ შიმშილობას დავიწყებდი, იცი, რა სკანდალი ატყდებოდა? ყველა პირველ პირს ვიცნობ იქ და ყველა შემხვდებოდა, ვაჩვენებდი მათ ევა გოცირიძის მიერ პირდაპირ ეთერში გაკეთებულ განცხადებას, ლევან მურუსიძეს რომ ხმას ვაძლევდითო (ფარულ კენჭისყრაზეა აქ საუბარი), წინასწარ იცოდა ნინო გვენეტაძემ და ჩვენ წინასწარ ვიყავით შეთანხმებულიო... ამაზე კიდევ მაქვს ორი ძალიან საინტერესო დოკუმენტი, ყველაფერი მოვაგროვე. ივანიშვილმა მე და თქვენ, „ალიას“, სხვა ჟურნალისტებს ხომ ვერ გვაჯობა, ვისაც თითს უქნევს? ხალხმაც მოგვბაძოს და თქვას, „მე არ ვიყიდები!“ და ვფიქრობ, არჩევნებზე სწორედ ამ ლოზუნგით უნდა გავიდნენ.

> „საქართველოს მოსახლეობა ხომ ხედავს, რომ ქვეყანას, ფაქტობრივად, მართავს არაფორმალური მმართველი ივანიშვილი, რომელიც საერთოდ სამართლებრივი სივრციდან გამოსულია... ეს ადამიანი ვერ იტანს საპირისპირო აზრს და ყველას თითს უქნევს. ამ ქვეყნისთვის ძალიან ცუდია, თუ ერთი რომელიმე პოლიტიკური ძალა, როგორი კარგიც არ უნდა იყოს, მოვა აბსოლუტურ უმრავლესობაში, ეს არის უკვე დიქტატურა“

ვინ დაჭრა წყალტუბოს პოლიციის უფროსი

წყალტუბოში მოქალაქე თემურ გ.-მ ერთი პირი დაჭრა და მიიმალა. სამართალდამცავებმა ეჭვმიტანილის ადგილსამყოფელი დაადგინეს. სპეცოპერაციის მიმდინარეობისას კი ეჭვმიტანილმა სამართალდამცავებს ცეცხლი გაუხსნა, რა დროსაც რევაზ ქობულია ფეხის არეში დაიჭრა.

არსებული ინფორმაციით, დაჭრილია თემურ გ-ც.

ფაქტს შს სამინისტროს პრესსამსახურიც ადასტურებს. უწყების ინფორმაციით, ეჭვმიტანილის აყვანის სპეცოპერაციის დროს დაიჭრა წყალტუბოს პოლიციის უფროსი.

ორივე დაჭრილი საავადმყოფოშია გადაყვანილი.

მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს საგამოძიებო ღონისძიებები. (ნიუპოსტი)

ლაგოდეხის მთებში მაშველებმა კიდევ ერთი მამაკაცის ცხედარი იპოვეს

ლაგოდეხის მთებში მაშველებმა კიდევ ერთი მამაკაცის ცხედარი იპოვეს. ინფორმაციას საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს პრესსამსახურშიც ადასტურებენ.

მათი ინფორმაციით, იდენტიფიცირების მიზნით ცხედარს ექსპერტიზა უტარდება და შესაძლოა, გარდაცვლილი სამი თვის წინ გაუჩინარებულ მონადირეებიდან ერთ-ერთი იყოს.

ლაგოდეხში ოთხი მონადირე სანადიროდ 28 დეკემბერს გავიდა. ერთი მათგანი სამი დღის შემდეგ დაბრუნდა ოჯახში, დანარჩენები კი დაიკარგნენ. ერთ-ერთი დაკარგული მონადირის ცხედარი მაშველებმა რამდენიმე დღის წინ იპოვეს. (ინტერპრესნიუსი)

თბილისში ბანკი გაძარცვეს

გვიან ღამით, თბილისში საქართველოს ბანკი დააყაჩაღეს. შემთხვევა ჭავჭავაძის გამზირზე, უნივერსიტეტის პირველ კორპუსთან, მოხდა.

გავრცელებული ინფორმაციით, თავდამსხმელებმა ბანკის თანამშრომელი სცემეს.

"ნიუპოსტი" მომხდარის გადამოწმებას შს სამინისტროში შეეცადა. უწყების ინფორმაციით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის 2 ნაწილით მიმდინარეობს.

რაც შეეხებაბა ბანკის თანამშრომლის ცემის ფაქტს, შსს სამინისტრო ამას არ ადასტურებს. (ნიუპოსტი)

ქეთევან ციხელაშვილი ბანერების დამონტაჟებას ჟენევის მოლაპარაკებების რაუნდის წინ მორიგ პროვოკაციად აფასებს

ქარელის რაიონში ე.წ. რუსი მესაზღვრეების მიერ ბანერების დადგმას შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე, ქეთევან ციხელაშვილი რუსული მხარის მხრიდან ჟენევის მოლაპარაკებების მორიგ რაუნდამდე მორიგ პროვოკაციად აფასებს.

– აშკარად არის მორიგი პროვოკაცია. ისევ არის ჟენევის მოლაპარაკებების მორიგი რაუნდის წინ. ერთ კვირაში ჩვენ გვაქვს 36-ე რაუნდი ჟენევაში. ძალიან სამწუხაროა. ძალიან ხშირად სწორედ რაუნდების წინ ხდება ასეთი მოძრაობები, პროვოკაციული გამოხტომები. ამჯერად, ორი ეგრეთ წოდებული ბანერი იქნა დამონტაჟებული, რომელსაც ოკუპირებული ტერიტორიის მხრიდან აქვს ჩვენი ინფორმაციით, გარკვეული წარწერა, რომ თითქოს მათ მიერ კონტროლირებადი ზონა კიდევ ნიშნულიდან 100 მეტრის სიღრმეზე ვრცელდება. მოსახლეობაში არსებობს, რა თქმა უნდა, უკმაყოფილება და საფრთხის განცდა. გარდა იმისა, რომ ეს არის პროვოკაცია, ეს ქმედება სტაბილურობისა და უსაფრთხოების წინააღმდეგ არის მიმართული, - განაცხადა ციხელაშვილმა. (medianews.ge)

● **რაო, რუსეთთან დიალოგი უნდა გვქონდეს, ერთმორწმუნე ერთან გასაყოფი არაფერი გვაქვსო, არა?! და ასეთ მამაძაღლობებს რომ ბოლო არ უჩანს, მაინც რუსეთს ჩავეხუტოთ, ჩავეფსკვნათ და ვაპატიოთ ყველაფერი, რასაც გვიკეთებდა და გვიკეთებს?! ეგ არაფერი, ჩვენი დროც მოვა და ჩვენც გავუკეთებთ, აი, ასე!!!**

საბავშვო ბაღებში ჯგუფების ასაკობრივი კატეგორიით დაყოფა 2018 წლიდან იქნება საყალდებულო

„ადრეული და სკოლამდელი აღზრდის შესახებ" კანონპროექტის ის მუხლი, რომელიც ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით დაყოფას ითვალისწინებს, ძალაში 2018 წლიდან შევა.

ამის შესახებ პარლამენტის სხდომაზე ეკა ბესელიამ განაცხადა. როგორც მან აღნიშნა, ვალდორფის ბაღთან დაკავშირებით კომპრომისულ ვარიანტზე შეჯერება მოხერხდა.

– კანონის მე-20 მუხლი, ეს არის ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით დაყოფა, ვალდორფის ბაღის პრობლემა რომ იყო, ჩვენ კომპრომისულ ვერსიაზე შევჯერდით, რომ ამ კანონის მე-20 მუხლი ამოქმედდეს 2018 წლის პირველი აპრილიდან, გადავწიეთ ვადა, - ამბობს ეკა ბესელია.

დეპუტატის თქმით, რეფორმა ამ მოწვევის პარლამენტში ერთ-ერთი უნიკალურია. მისი თქმით, მთავარია ყველა საჯარო თუ კერძო ბაღმა ბავშის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე დააკმაყოფილოს ის სტანდარტი, რომელიც რეფორმით იქნება დადგენილი. (ipress.ge)

● **არის თუ არა ეს რეფორმა ამ მოწვევის პარლამენტის უნიკალური მიღწევა, ეს თემა ცოტა ხნით გვერდზე გადავდოთ და არანაკლებ პრობლემატურ საკითხს შევეხოთ — გადავსებულ სახელმწიფო ბაღებს!**

თქვენ თუ იცით, ქალბატონო ეკა, რომ აღმზრდელები და ძიძები ვერ უმკლავდებიან ერთ ჯგუფში ჩარიცხულ 45 და მეტ ბავშვს და რომ ზოგი მშიერი ბრუნდება სახლში, ზოგი — ნაცემ-დაკაწრული, ზოგი — დასვრილი საჯდომით, იმიტომ, რომ თავად ჯერ კიდევ არ იცის ჰიგიენური ნორმების დაცვა, მასწავლებლები კი არ და ვერ იცლიან, რომ აღსაზრდელებს მიხედონ?! მერე თავს ასე იმართლებენ ხოლმე — ხომ იცით, რამდენი ბავშვია და ზოგჯერ რაღაც გამოგვრჩებაო.

კარგით, დავუშვათ, „ზოგჯერ შეიძლება გამორჩეთ" რომელიმე ბავშვი თანატოლს თუ შემოულაწუნებს, მაგრამ ტუალეტში რომ მარტოს უშვებენ და იქიდან გამოსულს ყურადღებასაც კი არ აქცევენ, ამის გამორჩენა შეუძლებელია!!!

მოკლედ, ასაკობრივი კატეგორია გავიგეთ, მაგრამ უფრო მთავარი პრობლემები აქვს სახელმწიფოს მოსაგვარებელი: ბაღების რაოდენობა და მასწავლებლების გადამზადება. თუ ამ საკითხებს არ მიხედავთ, გინდ ასაკობრივად დაყავით ჯგუფები, გინდ აღმსარებლობის და გინდ იმის მიხედვით, ვისი მშობელი ყიდულობს მასწავლებლისთვის საჩუქრებს და ვისი - არა!

„დოიჩე ველე" - ევროპულ ქვეყნებში ევროკავშირის მიმართ სკეპტიკური განწყობები ძლიერდება

ევროპულ ქვეყნებში ევროკავშირის მიმართ სკეპტიკური განწყობები ძლიერდება. „დოიჩე ველეს" ინფორმაციით, ასეთია ამერიკული სოციოლოგიური ინსტიტუტის, **Pew Research Center**-ის გამოკითხვის შედეგები.

გამოკითხვის თანახმად, გერმანიაში ევროკავშირის მიმართ დადებითად რესპონდენტთა 50 პროცენტი არის განწყობილი, რაც შარშანდელთან შედარებით 8 პროცენტით ნაკლებია.

საფრანგეთში ევროკავშირს ნდობას რესპონდენტთა 38 პროცენტი უცხადებს, რაც გასულ წელთან შედარებით 17 პროცენტით ნაკლებია.

ყველაზე უარყოფითად ევროკავშირის მიმართ საბერძნეთია (27%) განწყობილი.

დიდ ბრიტანეთში ევროკავშირის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება გამოკითხულთა 48 პროცენტს აქვს.

ნდობის ყველაზე მაღალი დონე ფიქსირდება ევროკავშირის ახალ წევრებში, მაგალითად, პოლონეთსა (72%) და უნგრეთში (61%).

ევროპელებში ყველაზე მეტ უკმაყოფილებას იწვევს ევროკავშირის ქმედებები მიგრაციული და ეკონომიკური კრიზისის მოგვარების საკითხში. ევროკავშირის ეკონომიკურ პოლიტიკას არ ეთანხმება გამოკითხული ესპანელების 65, ფრანგების 66, იტალიელების 68 და ბერძნების 92 პროცენტი.

მიგრაციული კრიზისის მოგვარებით კი, გერმანელების 67, იტალიელების 77, შვედების 88 და ბერძნების 94 პროცენტია უკმაყოფილო. (ინტერპრესნიუსი)

სავსე ყოფილა ევროპა რუსეთუმეებით, ხედავთ, პეროგაყრილებო? თუ იქნებ ეს ის ხალხია, ვისაც საღად აზროვნების უნარი შერჩენია და როცა ვინმეს აკრიტიკებენ, სულაც არ ნიშნავს, რომ „პუწინის" აკვანს არწევენ?!

„ქართული ოცნების" საარჩევნო შტაბს კახა კალაძე უხელმძღვანელებს

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, „ქართული ოცნების" თავმჯდომარე გიორგი კვირიკაშილმა პარტიის საარჩევნო შტაბის უფროსად საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი, „ქართული ოცნების" გენერალური მდივანი კახა კალაძე წარადგინა.

– კახი კალაძეს აქვს კაპიტნის გამორჩეული თვისებები, ორგანიზატორული ნიჭი და გამოცდილება, რაც ძალიან მნიშვნელოვანი იქნება წინასაარჩევნო კამპანიის ღირსეულად ჩატრებისა და საბოლოო გამარჯვებისთვის, - აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

წინასაარჩევნო კამპანია 8 ივნისს ოფიციალურად დაიწყო. საპარლამენტო არჩევნები 2016 წლის 8 ოქტომბერს გაიმართება. (primenewsgeorgia.ge)

● **კაპიტნის გამორჩეული თვისებები კი არა, ხილული სასწაულების დახმარებით გაუჭირდება „ქართულ ოცნებას" იმ შედეგის დადება, რაც 2012 წელს ჰქონდა — რაც დათესეთ, იმას მოიმკით და იმიტომ!..**

უკვე დაიწყეს არჩევნებში მოსალოდნელი დამარცხების „გაპრაყება"

ლევან ბერძენიშვილის განცხადებით, კონტრასტი პარტიების ფინანსურ შესაძლებლობებს შორის თავისთავად გამორიცხავს თანასწორობას წინასაარჩევნოდ, თუმცა ეს სისტემური უსამართლობა არ არის. ლევან ბერძენიშვილის თქმით, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები მრავალპარტიული იქნება, რის გამოც, ეს არჩევნები საქართველოს ისტორიაში ყველაზე ევროპული იქნება.

– თანასწორობა არ იქნება იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ არიან ძალიან მდიდარი და ძალიან ღარიბი პარტიები. ზოგიერთმა პარტიამ წინა თვეში მილიონები მიიღო, ზოგიერთ პარტიას ფული არ აქვს საერთოდ. ამიტომ სამართლიანობა ამ თვალსაზრისით არ ყოფილა და არ იქნება, მაგრამ ეს არ არის სისტემური უსამართლობა. ეს არ იქნება ორპარტიული არჩევნები, ეს იქნება მრავალპარტიული არჩევნები და ამ თვალსაზრისით, ეს იქნება ალბათ ყველაზე უფრო ევროპული არჩევნები საქართველოს ისტორიაში, - განაცხადა ლევან ბერძენიშვილმა. (medianews.ge)

მაკა დეკანოსიძე
551 99-18-19

სამართლიანობის აღსადგენად ქართულ სასამართლოში საქმეს უცხოელი მოსამართლე განიხილავს?

სასამართლო სისტემა ყოველი ხელისუფლების აქილევსის ქუსლად რომ არის ქცეული და მასზე კონტროლის ბერკეტის ხელიდან გაშვება არავის უნდა, უკვე ათწლეულებია, ვხედავთ. ქართველი კაცი რომ ყველაფერს ეგუება, უსამართლობისა და ჩაგვრის გარდა, ეს განვლილმა წლებმა, რევოლუციებმა თუ „ცოცხების მთავრობის“ დასასრულმაც ნათლად აჩვენა.

გუშინ „ახალი საქართველოს“ ლიდერმა, გიორგი ვაშაძემ პარლამენტს ასეთი იდეა შესთავაზა: სასამართლო რეფორმის დასაჩქარებლად, უცხოელი და ადგილობრივი ექსპერტები მოვიწვიოთო; შეიძლება ასეც გავაკეთოთ, რომ პროცესზე ერთი ადგილობრივი მოსამართლე იყოს, ერთი უცხოელი, სტრასბურგის სასამართლო-მოვლილიო; თუ ბიზნესმენს ხელისუფლებასთან პრეტენზია აქვს, პირდაპირ, ლონდონის არბიტრაჟში უნდა შეეძლოს ჩივილი და ისიც შეიძლება, აქ ამ არბიტრაჟის ფილიალი გავსნათო და ა.შ. კი, მაგრამ მაშინ სად იყო ვაშაძე, როცა „ნაციონალების“ დროს, პარტიის ერთ-ერთი ლიდერის სტატუსი ჰქონდა? ეს ხელისუფლება რომ რაღაცის გამკეთებელი იყოს, ამ რეფორმას აქამდე არ გაატარებდა?

„ალიას“ გიორგი ვაშაძე ესაუბრა:

— თავის დროზე, „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის დროს, როცა მათი ერთ-ერთი აქტიური ლიდერი იყავით, მაშინ სად იყავით, რეფორმა ახლა გაგახსენდათ?

– პირდაპირ გეტყვით, რომ ადრე სასამართლო რეფორმაზე არ ვმუშაობდი და არასდროს მქონია მოსაზრებები, როგორ შეიძლებოდა, სწრაფად შეგვექმნა სამართლიანი სასამართლოს მოდელი. ამ კუთხით მხოლოდ ბოლო 2 წელია ვმუშაობ. რაც მე წარვადგინე, ამას ვიხილავთ აქტიურად სხვა ქვეყნებშიც და არამარტო საქართველოში. რაც შეეხება წარსულს, ბოლო 4 წელი, 9 წელი ან 25 წელი, ჩვენი დამოუკიდებლობის მანძილზე, რომ სასამართლო სისტემა ვერ ავაშენეთ, ფაქტია. მე გავაჟღერე ჩემი ხედვა, როგორ შეიძლება სწრაფად, მოკლე ვადაში ეფექტური და სამართლიანი მართლმსაჯულება ჩამოყალიბდეს ქვეყანაში. ამას აქვს რამდენიმე კომპონენტი, პირველი კომპონენტი ის არის, რომ პირველი ინსტანციის მოსამართლე, პირი რომელსაც ჩაბარებული აქვს საკვალიფიკაციო გამოცდები, უნდა ირჩეოდეს პირდაპირი არჩევნების წესით, ნაცვლად გასაუბრებისა, რომელსაც მასთან ატარებს იუსტიციის საბჭო. მაგალითად, ქუთაისში ვარ ახლა და ქუთაისის მოსახლეობა, მივა და აირჩევს 10 წლით მოსამართლეს.

რაც შეეხება სააპელაციო სასამართლოს, ის სადავო საქმეები, რომელსაც პირველი ინსტანცია და სააპელაციო სასამართლო ვერ გადაწყვეტს, უნდა შეიქმნას მესამე სააპელაციო სასამართლო, სადაც ორი მოსამართლე იქნება სტრასბურგის გამოცდილების მქონე უცხოელი მოსამართლე, ხოლო ერთი იქნება ქართველი. ამით გარანტიას ვქმნით, რომ შეუძლებელი იქნება ზეწოლის მოხდენა სასამართლო სისტემაზე, ვინც არ უნდა მოვიდეს ხელისუფლებაში, მას არ ექნება შესაძლებლობა, რომ ადგეს, დაურეკოს მოსამართლეს და გადაწყვიტოს პრობლემა. ამით მოიხსნება პოლიტიკური წნეხი. უცხოელ მოსამართლეს თუ დაურეკავს, ერთი მხრივ, ის უბრალოდ არ მიიღებს ამას და საქმის აღძვრას მოითხოვს სასამართლოზე ზეწოლის გამო. თუ ხელისუფალი დაურეკავს არჩეულ, აქაურ მოსამართლეს, ის საქმით ვერ დაინტერესდება, რადგან არანაირი ბერკეტი და იარაღი არ ექნება.

— ეს მოდელი რომელიმე ქვეყანას აქვს, თუ ინოვაციაა?

– ეს არის ჩემი და ჩემი მეგობრების მიერ მოფიქრებული მოდელი, ასეთი მოდელი სხვა ქვეყნებშიც არაა ჯერ რეალიზებული, გარკვეული კომპონენტები შეიძლება რეალიზებული იყოს, მაგრამ სრულად არა. მესამე კომპონენტი, რომელიც ასევე მნიშვნელოვანია ამ პროექტში, გახლავთ ის, რომ ის კერძო დავები, რომლებიც ადამიანს აქვს სახელმწიფოსთან, მაგალითად, ქონების უფლება და ა.შ. ამ შემთხვევაში, უკვე ლონდონის სასამართლო შემოდის, ლონდონის არბიტრაჟი. მათი წარმომადგენლობა იხსნება საქართველოში და თუ რამე პრობლემა აქვს ბიზნესს, პირდაპირ მიმართავს არბიტრაჟს. მთელ მსოფლიოში ლონდონის არბიტრაჟი არის გარკვეული სტანდარტი და საქართველოში კითხვას აღარავინ დასვამს, რომ შესაძლოა, იყოს უსამართლო მართლმსაჯულება.

— ამ ყველაფერს პოლიტიკური ნება სჭირდება, არც ერთ ხელისუფალს დღემდე არ აწყობდა დამოუკიდებელი და ძლიერი სასამართლო. ყველა ხელისუფლება ამ დაპირებით მოვიდა, მაგრამ ძალაუფლებას გემო რომ გაუგეს, აღარაფერი შეცვალეს. როგორ წარმოგიდგენიათ რეალობაში ამ პროექტის განხორციელება?

– ჩვენ მოვიფიქრეთ ისეთი მოდელი, რომლის კრიტიკა არის შეუძლებელი, თუ არ გვეთანხმება ვინმე, მაშინ უნდა თქვას, რატომ? და თქვას, რას გვთავაზობენ უკეთესს. მოდი, ღიად ვთქვათ, არასამთავრობო სექტორიც რასაც სთავაზობს დღეს ხელისუფლებას, იუსტიციის საბჭოში წევრების დანიშვნის წესი და ა.შ. ეს არის მეწვრილმანეობა. ასეთი მეწვრილმანეობით სისტემას ვერ შევცვლით. პოლიტიკურ ნებას რაც შეეხება, რა თქმა უნდა, ეს არც ერთ ხელისუფლებას არ ჰქონია და არც ახლა აქვს, რადგან არ უნდა, ხელიდან გაუშვას მთავარი მართვის ბერკეტი. ამ შემთხვევაში საზოგადოებამ უნდა ვაიძულოთ, რომ ეს რეფორმა ჩაატაროს. უნდა შევიდეს კანონპროექტი პარლამენტში. ეს პროექტი გავიაზრეთ და დავალაგეთ უკრაინის, მოლდოვის, მაკედონიისა და საქართველოს მაგალითზე. ხუთ ქვეყანაში ვატარებდით კვლევას ამ საკითხთან დაკავშირებით. პრობლემა ერთი და იგივეა ყველა ამ ქვეყანაში. ერთადერთი მექანიზმი, რომ სწრაფად გარდავქმნათ ეს პროცესი, არის სწორედ ეს მექანიზმი, რაც წარმოვადგინე.

— თუ იმუშავეთ სხვადასხვა საერთაშორისო კომპეტენტურ ორგანოებთან, თუნდაც ვენეციის კომისიასთან, რომელიც წამყვანი რეკომენდატორია სასამართლოს რეფორმირების კუთხით? მოკლედ რომ ვთქვათ, ეს მოდელი ჯდება საერთაშორისო სამართლის ჩარჩოებში?

– უშუალოდ ვენეციის კომისიასთან არ მქონია კონტაქტი, მაგრამ ვისთან ერთადაც ვიმუშავე ამ საკითხზე, ესენი არიან მსოფლიოში ყველაზე მაგარი არბიტრები, სასამართლოს სპეციალისტები, ადამიანები, ვინც ქმნიან სასამართლო სისტემებისა და ინსტიტუციების განვითარებაში ამინდს მთელ მსოფლიოში. მათთან მქონდა კონტაქტი, თქვეს, რომ ამ მიდგომით შეიძლება განვითარება ქვეყნის, რადგან ეს მიდგომა სწრაფად უზრუნველყოფს სამართლიან მართლმსაჯულებას ქვეყანაში. შესაბამისად, მათი მხრიდან არის სერიოზული მხარდაჭერა. ვიმედოვნებ, რომ ვენეციის კომისიიდანაც და მსგავსი ტიპის ინსტიტუციების მხრიდანაც იქნება შესაბამისი მხარდაჭერა.

— უცხოელი მოსამართლეები რამდენად იქნებიან მზად საქართველოში მუშაობისთვის, ამაზე გიფიქრიათ? რამ უნდა აიძულოს ისინი, რომ ევროპულ კარიერაზე უარი თქვან და საქართველოში წამოვიდნენ?

– ჩვენ არ ვსაუბრობთ იმას, რომ სააპელაციო სასამართლოში მუდმივად უნდა ჩამოვიდეს 10 უცხოელი მოსამართლე, რომელიც აქ იქნება 10 წელი. ჩვენ ვსაუბრობთ, რომ იქნება დაახლოებით 500-კაციანი სია უცხოელი ყველაზე მაგარი მოსამართლეებისა და კონკრეტულ საქმეზე მოხდება სხვადასხვა მოსამართლის მოწვევა, რომ აქაც გამოირიცხოს გრძელვადიანი კონტაქტი ადგილობრივ სასამართლოსთან. მაგალითად, პირობითად ვამბობ, როგორიც არის „გირგვლიანის საქმე“, უნდა წასულიყო თუ არა ასეთ ინსტანციაში? უნდა წასულიყო! „ჟვანიას საქმე“, „კაბელების საქმე“, „რუსთავი 2“-ის საქმე“ და ა.შ. მაგრამ ამ საქმეებზე ისე კი არ უნდა მოხდეს, რომ უკვე ორი უცხოელი მოსამართლე გვყავდეს გამზადებული, სია იქნება და შეირჩევა, ამოირჩა, ვთქვათ, ორი მოსამართლე, მხარეებს ექნებათ უფლება აცილების, თუ ხედავენ რაიმე სახის ინტერესთა კონფლიქტს.

თუ ჩვენ გვექნება სასამართლო სისტემა, რომელიც გარანტირებულად 100%-იან სამართლიან გადაწყვეტილებას იღებს, ქვეყანაში რევოლუციები აღარ მოხდება. ხელისუფლებასაც აკონტროლებს ის სამართლიანი მართლმსაჯულება, რომელიც წყვეტს სამართალს. თუ ვინმეს ჰგონია, რომ მერე პროკურატურა ასეთი ყელმოღერებული იქნება, ცდება. ვერ იქნება. პროკურატურა დღეს ძლიერი პოლიტიკური იარაღია, პროკურორი გახდა ძალიან მაგარი ტიპი, იმიტომ რომ სასამართლოა სუსტი, გაპარტახებული, განადგურებული და დაჩაჩანაკებული. პროკურორს კი არ უნდა ელოდებოდეს სასამართლო, სასამართლო წესრიგს უნდა ემორჩილებოდეს პროკურორი და ძლიერი სასამართლოს შემთხვევაში პროკურორი უნდა იყოს სახელმწიფოს ადვოკატი და არა მოძალადე. ასეთ შემთხვევაში აღდგება სამართლიანობა მხოლოდ.

— და ფიქრობთ, სტრასბურგის სასამართლოში საქმეები აღარ წავიდოდა ასეთ შემთხვევაში?

– აღარ გახდებოდა საჭირო, რადგან ნდობის ხარისხი იქნება მაღალი.

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33

რა მიზნით გაერთიანდა „პატრიოტთა ალიანსის“ საარჩევნო ბლოკი და როგორ გაინაწილებენ ადგილებს პარლამენტში?

„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ ხუთ პარტიასთან ერთად საარჩევნო ბლოკს ქმნის, რომლის სახელწოდება იქნება „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი – პატრიოტთა ალიანსი – გაერთიანებული ოპოზიცია“. საარჩევნო ბლოკში გაერთიანდნენ: „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“, კახა კუკავას პარტია „თავისუფალი საქართველო“, კონსტანტინე გამსახურდიას პარტია „თავისუფლება“, აკაკი ასათიანის „ტრადიციონალისტთა კავშირი“, გოჩა ჯოჯუას „ახალი ქრისტიან-დემოკრატები“ და გია ბერძენაძის „ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა“.

ირმა ინაშვილის თქმით, ბლოკის შექმნის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ქვეყანაში არსებული უთანასწორო და უსამართლო საარჩევნო გარემოა: „ქართულმა ოცნებამ“ არ შეცვალა ის კანონმდებლობა, რაც სააკაშვილის რეჟიმმა შექმნა. ასეთ უთანასწორო პირობებში ჩვენი მოთხოვნები ჩამოვაყალიბეთ და მივმართეთ ხელისუფლებას. ერთ-ერთი მათგანი ითვალისწინებდა იმ გამგებლებისა და პოლიციის უფროსების სისხლის სამართლებრივ დასჯას, რომლებიც დგანან საარჩევნო უბნების წინ და ამომრჩევლებს პირდაპირ თუ ირიბად აშინებენ. ამის ნაცვლად, ხელისუფლება იწყებს იმ კანონის მიღებას, რომლის თანახმადაც, თუ ჩვენ ასეთ გამგებელს საარჩევნო უბნის წინ გადავეყრებით და მასთან ფიზიკური შეხლა-შემოხლა მოგვივა, უკვე ჩვენ დაგვაპატიმრებენ...“

თუ აწარმოებს ახლადშექმნილი საარჩევნო ბლოკი სხვა პარტიებთან მოლაპარაკებებს? ვის რამდენი კვოტა ერგება, თუკი ბლოკი ბარიერს გადალახავს ან უმრავლესობით გაიმარჯვებს?

„ალიას“ „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა ესაუბრა:

— „პატრიოტთა ალიანსის“ სტრატეგია ასეთი იყო: თუ ბლოკს შევქმნით, შევეცდებით, უმრავლესობით შევიდეთ პარლამენტში, შევცვალოთ საარჩევნო კოდექსი, შემდეგ რიგგარეშე არჩევნები დავნიშნოთ და მერე ცალ-ცალკე გავიდეთ ახალ არჩევნებზეო. ეს ძალაშია თუ შეიცვალა?

– არა, არანაირი დაშლა, ჩვენი ამოცანა არის, მივიღოთ ხმების ის რაოდენობა, რომლის გარეშეც შეუძლებელი იქნება ახალი მთავრობის ფორმირება და დავასრულოთ საქართველოში „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ ორპარტიული სისტემა.

— ამ ეტაპისთვის ბლოკში ხუთი პარტიაა. იყო საუბრები, რომ „პატრიოტთა ალიანსთან“ შესაძლოა, გაერთიანებულიყვნენ ნინო ბურჯანაძე, თამაზ მეჭიაური, გოგი თოფაძე... ხომ არ იცით, გადაიფიქრეს?

– კონსულტაციები კიდევ მიმდინარეობს და არ არის გამორიცხული, კიდევ უფრო მეტად გაფართოვდეს ბლოკის შემადგენლობა.

— ხელისუფლება არანაირ დათმობაზე არ წამოვიდა, ძველი საარჩევნო სისტემა დატოვა და როგორც ოპოზიცია აცხადებს, ეს იმიტომ გააკეთეს, რომ არჩევნები გააყალბონო. ამ პირობებში როგორ ხედავთ თქვენი ბლოკის გამარჯვების შანსს, აქვს არჩევნებში მონაწილეობას აზრი? მოლოდინები როგორია?

– რა თქმა უნდა, ეს მნიშვნელოვანწილად ართულებს ამოცანას, თუმცა, საბოლოო ჯამში, ეს ამოცანა, ადრე თუ გვიან, მაინც მისაღწევია. ყველაფერი დამოკიდებულია ამომრჩევლის აქტიურობაზე და რა თქმა უნდა, ჩვენზე, რამდენად შევძლებთ დავარწმუნოთ ამომრჩეველი. ყველა სოციოლოგიური გამოკვლევა ადასტურებს, ამომრჩევლის ნახევარზე მეტი არ ენდობა არავის, ეს კი სავსებით საკმარისი რესურსია ხელისუფლების შესაცვლელად. თუმცა ავტომატურად, ეს ამომრჩეველი შეიძლება სახლშიც დარჩეს და არჩევნებზე არც წავიდეს. ახლა ყველაფერი დამოკიდებულია სწორედ გაერთიანებულ ოპოზიციაზე, რამდენად შევძლებთ ჩვენ ამომრჩევლის დარწმუნებას იმაში, რომ სწორედ გაერთიანებული ოპოზიციაა ის ძალა, რომელსაც შეუძლია ამ ცვლილებების გატარება ქვეყანაში.

— ახლად შექმნილ ბლოკში ერთ-ერთი კონსტანტინე გამსახურდიას პარტია „თავისუფლებაა“. წინა ხელისუფლების დროს ვრცელდებოდა ხმები, რომ ის „ნაციონალური მოძრაობის“ პროექტი იყო და ელჩადაც უშვებდნენ შვეიცარიაში, მგონი ჰიდრომეტეოროლოგიის საერთაშორისო ორგანიზაციას ასახელებდნე, მაგრამ აგრემაცია ვერ გაიარაო. ამაზე რა იცით და როგორ გადაწყდა ბატონ კონსტანტინესთან თქვენი თანამშრომლობა?

– საქართველოში ყველა ადამიანს, რომელიც მეტ-ნაკლებად პოპულარულია, ჯერ უნდა დააბრალონ, რომ არატრადიციული სექსუალური ორიენტაციისაა, მერე უნდა დააბრალონ, რომ სუფთა სისხლის ქართველი არ არის და მერე უნდა დააბრალონ, რომ შეკრულია შევარდნაძესთან, სააკაშვილთან და ივანიშვილთან. ენას ძვალი არ აქვს და დაბრალებით ყველაფრის დაბრალება შეიძლება, მაგრამ მე მხედველობაში მივიღებ მხოლოდ იმ არგუმენტებს, როდესაც არის ძალიან მკაფიო, კონკრეტული მტკიცებულებები და ვერ გავიზიარებ იმას, რომ ჩვენ სადმე გვინახავს კონკრეტულად კონსტანტინე გამსახურდიას თანამშრომლობა „ნაციონალებთან“.

— პარლამენტში კვოტების გადანაწილება როგორ უნდა მოხდეს? ვის რამდენი ადგილი გერგებათ, ამაზე გქონდათ საუბარი?

– ძირითად პრინციპებზე შეთანხმებულები ვართ, თუმცა პარტიული სია საბოლოოდ შედგენილი არ არის და იმედი მაქვს, ეს არ იქნება რაიმე სერიოზული დისკუსიის საგანი.

— თვითონ ბლოკს „დავით თარხან-მოურავი, ირმა ინაშვილი — პატრიოტთა ალიანსი — გაერთიანებული ოპოზიცია“ ჰქვია, ანუ ბლოკის ლოკომოტივი, ფაქტობრივად, „პატრიოტთა ალიანსია“ და ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ არჩევნებში ბარიერის გადალახვისა თუ გამარჯვების შემთხვევაში, მათი პარტიიდან უფრო მეტი ადამიანი შევა პარლამენტში?

– რა თქმა უნდა, გაერთიანებულ ოპოზიციაში რომ „პატრიოტთა ალიანსს“ აქვს წამყვანი ძალა და შესაბამისად, ეს პარტიის სიაშიც იქნება ასახული – ეს არის ის პრინციპი, რომელზეც ჩვენ შეთანხმებულები ვართ და ეს ძალიან მკაფიო, ნათელია.

ივანიშვილი ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე ჰესს აშენებს?

თბილისის მერ დავით ნარმანიას განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობის“ ინფორმაცია, თითქოს ბიძინა ივანიშვილი ბოტანიკური ბაღის ტერიტორიაზე ჰესს აშენებს, სიცრუეზეა დაფუძნებული.

ნარმანიას თქმით, არც ბოტანიკურ ბაღში და არც მის მიმდებარე ტერიტორიაზე საზოგადოებისთვის მიუღებელ ქმედებებს ადგილი არ ექნება.

– პოლიტიკურად გაკოტრებული და სიცრუის ტირაჟირებაზე ორიენტირებული ადამიანების მხრიდან რაიმე ტიპის განცხადება არ მგონია, რომ საზოგადოებისთვის იყოს საინტერესო. არც ჩემთვისაა საინტერესო. ბოტანიკურ ბაღთან დაკავშირებით ყველა კითხვას გავეცი პასუხი. ბოტანიკურ ბაღსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე რაიმე სახის შემზღუდავ ან საზოგადოებისთვის მიუღებელ ქმედებებს ადგილი არ ექნება, - აცხადებს დავით ნარმანია.

კითხვაზე, იყო თუ არა მერიაში მსგავს ნებართვასთან დაკავშირებით, რაიმე შეხვედრა, მერის თქმით, ასეთი რამ არ მომხდარა. (pia.ge)

სასამართლომ ოჯახის წევრის მიმართ მუქარაში ბრალდებულს თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა

სასამართლომ ოჯახის წევრის მიმართ მუქარაში ბრალდებულს 10 თვით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

– თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და მ. მ. დამნაშავედ ცნო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 112 -151-ე მუხლით (მუქარა ოჯახის წევრის მიმართ).

სასამართლოში ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ 2016 წლის 19 აპრილს მ. მ. მივიდა ყოფილი მეუღლის საცხოვრებელ ბინაში, რომელთან ერთადაც დაახლოებით 20 წლის განმავლობაში იმყოფებოდა ქორწინებაში და ეჭვიანობის ნიადაგზე, დანის გამოყენებით დაემუქრა ჯანმრთელობის დაზიანებითა და სიცოცხლის მოსპობით. სასამართლომ მ. მ.-ს ჩადენილი დანაშაულისთვის სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა 10 თვით თავისუფლების აღკვეთა, - აღნიშნულია ინფორმაციაში. (kvira.ge)

რუსეთი აგრესორია, ეს სადავო აღარ არის - გედევან ფოფხაძე

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი გედევან ფოფხაძე საოკუპაციო ხაზის გადმოწევას ეხმაურება. უმრავლესობის წევრის თქმით, რუსეთი აგრესორია და საქართველომ საერთაშორისო საზოგადოებას უნდა მიმართოს.

– სამწუხაროა, როცა მეზობელი სახელმწიფო ყველა საერთაშორისო ნორმას იგნორირებას უწევს და მეზობლობის არანაირ წესს არ აღიარებს. რუსეთი რომ აგრესორია, სადავო აღარ არის. სამწუხაროდ, რუსეთთან დიალოგის არანაირი მექანიზმი არ გაგვაჩნია, მასთან ამ პრობლემებზე საუბარს აზრი არ აქვს, - განაცხადა გედევან ფოფხაძემ.

დეპუტატი მიიჩნევს, რომ საერთაშორისო საზოგადოების საქმის კურსში ჩაყენება აუცილებელია.

– სწორედ საერთაშორისო საზოგადოებიდან უნდა მოხდეს რუსეთზე ზეწოლის განხორციელება, - აღნიშნა ფოფხაძემ.

(ნიუპოსტი)

ნატო დაანახებს რუსეთს, ვინ მართავს ევროპას

პოლონეთში, ცივი ომის შემდეგ, ნატოს ყველაზე მასშტაბური წვრთნები დაიწყო, წერს **Daily Mail**. წვრთნებში მონაწილეობას მიიღებს 31 ათასი ჯარისკაცი 24 ქვეყნიდან. როგორც გამოცემა აღნიშნავს, ამრიგად ნატო ისწრაფვის, აჩვენოს ვლადიმერ პუტინს, ვინ მართავს ევროპას.

ფართომასშტაბიან ორკვირიან მანევრებში, რომელიც ატარებს კოდურ სახელწოდებას „ანაკონდა“ და პოლონეთის ტერიტორიაზე წელიწადში ორჯერ ტარდება, მონაწილეობას იღებენ როგორც ნატოს წევრი ქვეყნები, ასევე, სახელმწიფოები, რომლებიც გაერთიანებული არიან პროგრამაში „პარტნიორობა მშვიდობისათვის“ - მაგალითად, უკრაინა.

ამჯერად, წვრთნებში მონაწილეობას იღებს დაახლოებით, 1 000 ჯარისკაცი დიდი ბრიტანეთიდან, 14 ათასი აშშ-დან, 12 ათასი პოლონეთიდან.

მანევრები ვარშავაში ნატოს სამიტის წინ, ერთი თვით ადრე დაიწყო.

ცნობისათვის, სწორედ აღნიშნულ სამიტზე უნდა გადაწყდეს ნატოს ძალების განლაგების საკითხი აღმოსავლეთ ევროპაში, რასაც რუსეთი გამალებით ეწინააღმდეგება. (news.ge)

მეშვიდე გვერდიდან

ქტორში, რომელიც, ეკონომიკის ერთადერთი მამოძრავებელი ძალაა. სრულიად გაუგებარია რას ნიშნავს, ან რა გათვლებს ემყარება, თქვენ მიერ რამდენჯერმე გაჟღერებული პროგნოზი, რომ პირველი წელი იქნება კარგი, მეორე უკეთესი, მესამე კიდევ უფრო უკეთესი და მეოთხე გადასარევი.

შეეშვით ეკონომიკური განვითარების გეგმების შედგენას, როგორც სტრატეგიულის, ისე ტაქტიკურის თუ ოპერატიულის. ეკონომიკას არ უყვარს გეგმები. ეკონომიკას უყვარს თავისუფლება. ამიტომ, რაც უფრო ნაკლებად ეცდებით ეკონომიკის განვითარების გარკვეულ ჩარჩოებში მოქცევას ან განვითარების პროცესისთვის გარკვეული მიმართულების მიცემას, მით მალე წავალთ წინ და მით ნაკლებად გავფლანგავთ ისედაც მწირ დროს, ენერგიასა და ფულს.

შეეშვით იმ ადამიანებთან კონსულტაციებს, რომლებიც მხოლოდ იმიტომ არიან „ექსპერტები“, რომ მედიასაშუალებებში მათ ასეთებად მოიხსენიებენ. მესმის, რომ შეიძლება ამ ხალხის მიმართ გარკვეული ვალდებულებები გაქვთ, ექსპერტული აზრი კი ჰკითხეთ იმ ხალხს, ვინც უზრუნველყო საქართველოს ეკონომიკის მნიშვნელოვანი ზრდა უკანასკნელ წლებში. ეს ხალხი უნდა გყავდეთ კონსულტანტებად, ნაცვლად იმისა, რომ მათ პროკურატურაში ატარებდეთ. მოახერხეთ და დადექით პიროვნულ ფაქტორებზე მაღლა და გარწმუნებთ, ისინი არ დაგზარდებიან რჩევასა და დახმარებას“.

ემზარ ჯგერენაია, პროფესორი: „შეცდომაა, როცა მთავრობის მეთაური ამბობს, რომ 90, 100 ან 120 საწარმოს შექმნის. უნდა შეიქმნას იმდენი საწარმო, რამდენსაც ბაზარი მოითხოვს, მთავარია, ბიზნესმენს ჰქონდეს თავისუფალი ასპარეზი, გაიზარდოს კონკურენტუნარიანი ორგანიზაციების რიცხვი, ნეპოტიზმმა და პარტიული ნიშნით შერჩევამ არ წალეკოს ქვეყანა და თუ ღირსეული კადრი ხართ, თანაბარ პირობებში, ღირსეულად შეძლოთ თქვენი უპირატესობის წარმოჩენა იმ ადამიანების წინაშე, რომლებიც ნათესავ-მეგობრობით შეარჩიეს. აი, ეს არის მთავარი პრობლემა საქართველოში. მეორე პრობლემა კი ინვესტიციების მოზიდვაა ინვესტორის დაინტერესების საფუძველზე და არა – დირექტივებით, რადგან ყოველი დირექტივა მარცხისთვის არის განწირული. პრობლემის მესამე მიმართულება მთავრობის მხრიდან მიგრაციის კანონის მიღებასა და ვიზების რეჟიმის გამარტივებას მოითხოვს, რათა ქართველმა უცხოეთში ლეგალურად იშოვოს სამსახური, რაც, გარკვეულწილად, ჩვენს ქვეყანას წაადგება. უცხოეთიდან გამოცდილი სპეციალისტებიც დაგვიბრუნდებიან და ფულიც, რაც წმინდა ექსპორტის ტოლფასია. თუ ამ სამ ძირითად პრობლემას წარმატებით გავართმევთ თავს, ასი საწარმოც შეიქმნება და ორასიც“.

ეს მცირე ჩამონათვალია იმისა, რასაც ექსპერტები ურჩევდნენ ივანიშვილს და ზოგადად, მთავრობას და ამის მერე რომ იტყვი, ყველაფერს ვეცნობი, საქმის კურსში ვარ, მაგრამ მათი იდეები ვერ მოვისმინეო, სულ მცირე, მამალი ტყუილია!

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80

არასამთავრობო ორგანიზაციებს საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეაქვთ და გამართავენ აქციას. რას ითხოვენ ორგანიზაციები? რა სარჩელი შეაქვთ და რა წერია კანონპროექტში, რომლის

დაჩქარებული განხილვის მოთხოვნასაც აქციაზე დააყენებენ?

„ალიას“ „თავისუფალი თაობის“ ხელმძღვანელი, ლადო სადღოგელაშვილი ესაუბრა:

– იმ ინფორმაციაზე დაყრდნობით, რასაც საჯარო რეესტრი გვაწვდის, აღმოჩნდა, რომ 30 ათასამდე ადამიანი არის უმისამართო, რაც პრობლემურს ხდის არჩევნებზე ხმის მიცემის პროცესს. ანუ ჩვენი კანონმდებლობის თანახმად, თუ არ გაქვს მისმართი, არ შეგიძლია ხმის მიცემაც. არარაიონის მოგება. ამასთანავე, არსებობს კარუსელის დატრიალების დიდი შესაძლებლობაც. აქედან გამომდინარე, შევიმუშავეთ განცხადება, რომლითაც უნდა მივმართოთ საკონსტიტუციო სასამართლოს, ამ საკითხში შევიდეს ცვლილება. ასევე, მინდა გამოვეხმაურო შემდეგ საკითხს – კანონპროექტი „უსახლკაროთა სტატუსის განსაზღვრისა და მათი სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“, რომელზეც ჩვენვე ვიმუშავეთ, უკვე წელიწადზე მეტია პარლამენტშია, მაგრამ არაერთი დაპირების მიუხედავად, არც ერთ ფრაქციასა და კომიტეტს არ განუხილავს.

— რას გეუბნებიან, რატომ არ განიხილავენ ამ საკითხს?

– ამ კანონპროექტის განხილვა არ შედის იმ ადამიანების ინტერესებში, რომლებიც აკონტროლებენ იმ სამინისტროებს და უწყებებს, რომლებიც ამ საკითხებზე მუშაობენ. ჩვენ მივმართეთ ფინანსთა, ჯანდაცვისა და რეგიონული განვითარების სამინისტროებს, რომელთაგანაც აბსოლუტურად არაადეკვატური პასუხები მივიღეთ, სადაც გვიმტკიცებდნენ, რომ ჩვენი კანონპროექტი არ არის საჭირო ქვეყანაში, რადგან პრობლემა არ არის მასშტაბური.

— რას აპირებთ?

– დღეს უკვე ორი პარალელური აქცია გაიმართება, თბილისში და ქუთაისში. ასევე, აუცილებლად მივალთ გიორგი კვირიკაშვილთან მთავრობის კანცელარიასთან და იმედი გვაქვს, რომ ამ აქციას მოჰყვება შედეგი.

ეს არის 2008 წლის ომის ყველაზე ტრაგიკული შედეგი - ზურაბ აბაშიძე რუსი ოკუპანტების ქმედებაზე

რუსმა ოკუპანტებმა სოფელ ავლევის განაპირას ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერები დაამონტაჟეს. ადგილობრივი მცხოვრებლები ამბობენ, რომ თუ პერიმეტრზე მავთულხლართების გავლებას დაიწყებენ, მიწის ნაკვეთების გარეშე დარჩებიან.

რუსი ოკუპანტების უკანონო ქმედებაზე კომენტარს აკეთებს საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობების საკითხებში, ზურაბ აბაშიძე. მისი განცხადებით, ოკუპანტები საბჭოთა კავშირის დროინდელი რუკებით მოქმედებენ:

– აქვთ თავიანთი რუკები და საბჭოთა პერიოდის რუკების მეშვეობით მოქმედებენ. ბუნებრივია, ამას ჩვენ აბსოლუტურად უკანონოდ მივიჩნევთ. ეს არის 2008 წლის ომის ყველაზე ტრაგიკული შედეგი. ყოველთვის, რაც ჩემს ხელთ არსებული შესაძლებლობებია, ვიყენებ, ეს შეხვედრები ორ-სამ თვეში ერთხელ ხდება, ყოველთვის ვიყენებ და ამჯერადაც ვეცდები გამოვიყენო, - განაცხადა ზურაბ აბაშიძემ. (ნიუპოსტი)

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

1. მეგობ-როული შარუი
2. ცალთვალა მხედართ-მთავარი
3. მხატვარი. ხატავს ცარცით ასფალტზე
4. სხეულის ნაჩილი
5. კუდიანი ვარსკვ-ლავი
6. მსახიობი ... აფლეკი
7. ქალაქი ნიდერ-ლანდში
8. ძაფებით სამოძრაო თოჯინა
9. ზღვის კომბოსტო
10. მსახიობი ... ბენინგი
11. ჭრიჭინას ბებია
12. ...-კლარ-ჯეთი
13.რომენ როლანი. „... ბრუნიონი“
14.ქარ-თველების დასახლება ირანში
15. ტაილანდის ძველი სახელწ.
16. სახელმწ. სამხ. ამერიკაში
17. ნაბიჯი ბალეტში
18. სავაჭრო ცენტრი ...-მოლი
19. სოფელი თელავის რაიონში
20. საგაზეთო პუბლი-კაცია
21.მონ-ღოლეთში: ოქროს ...
22. ხორბლის ჯიში
23. ცირკის მოედანი
24. კუნძული ეგეოსის ზღვაში
25. ციტრუსი
26. მსახიობი იური ...
27. სასრო-ლეთი
28. სომეხი რევოლუ-ციონერი
29. ერთ-ერთი თითი
30. მსახიობი ... გიბსონი
31. „მატრიცა“ კერი-ენ მოსი
32. სადაც გაზეთები იბეჭ-დება
33. ხვავი
34. მტაცებელი ცხოველი სავანაში
35.დიუმა. „დედო-ფალი ...
36.დიზა-ინერი ჯონ ...
37. თამადა (მოძვ.)
38.მომ-ღერალი აერი ...
39.მეგი-ოლინე ვანესა ...
40. ბოსტ-ნეული
41. ყვავილი
41ა.მო-კრივე მუჰამედ ...
42. დაბა ყაზბეგის რაიონში
43.კონსტ. გამსა-ხურდიას მოთხრობა
44. ღვინის ღერთი
45. იაპონური თეატრი
46.კარლო კოლოდის ნის ბიჭუნა
47. ... სურემე-ლაძვილი
48. მწერალი ... იოსელიანი
49. უტოტო ხე
50.შეკ-სპირი. „... არაფრის გამო“
51. მოკლე პალტო
52.კომ-პოზიტორი ... გაბუნია
53. ჟელატინის შემცველი
54. ხორბლის შესანახი შენობა
55.მხ/ფ „შვიდი ...
56. შხამიანი ბაყაყი
57. ფრანგული ოქროს მონეტა
58. ტიბეტური ხარი
59. ... შვარცე-ნეგერი
60. უძველესი ასურეთის დედაქა-ლაქი
61. ჩირალ-დანი
62. ... ბურთი და ... მოედანი
63.მომ-ღერალი მარლ ...
64. კაკლის საბერტყი ჯოხი
65. ტბა აფხა-ზეთში
66. ოსური ცეკვა
67. ყვავის ბარტყი
68. სოფელი სოხუმთან
69. კომში
70. მგალო-ბელი ფრინველი
71. მსახიობი ოსვალდო ...
72. მოწნული ჭურჭელი
73. ძალიან ჭკვიანი ბავშვი
74. ... ფოიტ-ვანგერი
75. ჯუჯა ჟირაფი
76. კბილის დამცავი ფენა
77. მსახიობი ბრედ ...
78. ერთგვარი ავიტა-მინობი
79. ნაგებობა მდინარეზე
80. მსახიობი ... ჰარისი
81.„სამი მუშ-კეტერი“ რიშელიეს სასუ-ლიერო სტატუსი
82.მომ-ღერალი ... მინოუგი
83. მსახიობი მერილინ ...
84.„იმე-რული ესკიზები“ მათხოვარი
85. სოფელი გულრიფ-შის რაიონში
86. მწერი
87. „წითელი“ პლანეტა
88.მომ-ღერალი ... რიდი
89. საჰაერო სათამაშო
90.მეფე არტურის პირველი რაინდი
91.ცისა-რტყელას ქალღ-მერთი
92. მწვანე მინერალი
93. დაბადების მოწმობა
94. ტალღებზე სასრიალო დაფა
95. ბედი
96.ნანული სარაჯიშ-ვილი ფილმში
97. ტყის ვაშლი
98.ავტ. რესპუბლ. საქართ-ველოში
99.ჭავ-ჭავაძე. „... ქვრივი“
100. სია
101. შრეკის სატრფო
102. მსახიობი ... წულაძე
103. ... ჭრის და ... კერავს
104. მსახიობი ... ელიავა
105. ცეკვა მულენ-რუჟში
106. მდინარე ინდოეთში
107. მსახიობი ... შიგულა
108. დაბა ქარელის რაიონში
109. რბილი ლითონი
110.კომ-პოზიტორი ... კალმანი
111.პრე-ზიდენტი ... ალიევი
112. მსახიობი ... კახიანი
113. ... კაჩინსკი
114. მოსა-მართლის მოსასწამი
115. სირაქ-ლემას საბეობა
116. დღის დასა-წყისი
117.მხ/ფ „ჩემი მეგობარი ...“
118. გამხმარი სიმინდის ღერო
119. იგავი „მგელი და ...“
120. „მაუგლი“ პითონი
121. შოკო-ლადის ნის ნაყოფი
122. ტოლჩა



ვერტიკალი: 1. ეთნოლინგვისტი; 2. კუნძულები; 3. დაფიცანი; 4. ეიბერია; 5. ოდენობა; 6. ბანაობენი; 7. ფოსტალიები; 8. ბანაობენი; 9. ოთხმაგი; 10. ანგმე; 11. ელიზეს; 12. ჭინჭარა; 13. ალა; 14. ფესტივალი; 15. ნიადი; 16. სოფლიანი; 17. ალ; 18. ლიფოო; 19. ნიფლიანი; 20. სმენიერი; 21. ფოფო; 22. ფეკერა; 23. ამეცი; 24. ქონერ; 25. ბენეფიციანი; 26. ნიკოფოლი; 27. მოთა; 28. ალი; 29. ნეკი; 30. ფალი; 31. ფოფოლი; 32. ბოლოდ; 33. ბანგა; 36. ბალეტი; 37. ფოფოლიდი; 38. ალი; 39. ეკი; 40. ბოლოკი; 41. ყარდა; 42. სენერი; 43. “ალი“; 44. ფეოფანე; 45. ნეკა; 46. ანფოკიო; 47. ეაი; 48. ოდი; 49. ტოკ; 50. ალოფოლი; 51. ბანტოლი; 52. ნეკი; 53. ანაფოლი; 54. ნანეფოლი; 55. ნანეკოლი; 56. ბანეკი; 61. ბანეფალა; 62. ალ; 63. ანფალი; 64. ბანეფალი; 67. ბანფალი; 68. ეკეკა; 69. ბალ; 70. ოფალი; 71. ოთოლი; 72. ბოფალოლ; 73. ეკეფალ; 74. ფოთეკ; 75. ოკალ; 76. ეკეფალ; 79. ხალი; 80. ეფ; 81. ანფალოფალი; 82. ბოფალ; 77. ეკეფალ; 78. ბანეფალ; 79. ბალ; 83. ბოფალ; 84. ოლალ; 86. ალ; 89. ანფალ; 90. ალეკეფალ; 91. ოლალ; 92. ბალალ; 93. ეკეფალ; 94. ანფალ; 96. ეკეკ; 97. “ბანეფალ“; 98. ალ; 99. ალ; 100. ფალეფალ; 102. ბალალ; 103. ალ; 104. ალ; 105. ეკეკალ; 106. ბანეფალ; 107. ალ; 108. ბ; 109. ალ; 110. ანფალ; 111. ალ; 112. ანფალ; 113. ალ; 114. ბანეფალ; 115. ეკ; 116. ალ; 117. ნალალ; 118. ჩალ; 119. ბ; 120. ეკ; 121. ეკ; 122. ეკ.

სპინტერესო ამბები... სპინტერესო ამბები... სპინტერესო ამბები... სპინტერესო სპინტერესო

მაიმუნმა საიუველირო მაღაზია გაქურდა

თითქოს, ადამიანების ქურდობა-მამაძაღლობა საკმარისი არ იყო, ახლა ცხოველებიც გაბანდიტდნენ.

სამხრეთ ინდოეთში, ანსდხარა-პრადეშის შტატში ქურდი ადამიანები მაიმუნებმა ჩაანაცვლეს და დიდი წარმატებითაც. თურმე, ერთ მშვენიერ დღეს მაიმუნი საიუვილირო მაღაზიაში შეიჭრა და ხელს 10 ათასი რუპია, დაახლოებით, 150 დოლარიც გააყოლა.

ჯერ მაიმუნი მაღაზიასთან, გარეთ მშვიდად იჯდა, მერე ქარივით შეიჭრა მაღაზიაში და ახლა იქ გადაწყვიტა „დაბირჟავება“, თანამშრომლებმა საჭმელი შესთავაზეს, რაზეც უარი მიიღეს. სათვალთვალო კამერებმა ჩაიწერა, როგორ მიუახლოვდა მაიმუნი თანამშრომლებისგან მალულად სალაროს, როგორ ამოიღო ფული და ადგილიდან მიმალვაც ყოველგვარი გართულების გარეშე შეძლო.

პოლიციელები ამბობენ, რომ შესაძლოა, მაიმუნი გაწვრთნილი და სპეციალურად შეგზავნილი იყო. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ სანდო აღარავინ და აღარაფერი დარჩა.

anekdot-dnya.ru

სპინტერესო ამბები... სპინტერესო ამბები... სპინტერესო ამბები... სპინტერესო სპინტერესო

ბრიტანელმა მამაკაცმა 24 საათის განმავლობაში მსოფლიოს 12 ქვეყანა მოინახულა

ბრიტანელმა ადამ ლეიტონმა რეკორდი მოხსნა და 24 საათის განმავლობაში მსოფლიოს 12 ქვეყანაში ჩასვლა მოასწრო. წინა რეკორდი – დღე-ღამის განმავლობაში 11 ქვეყანა – 1993 წელს დაფიქსირდა. გავრცელებული ინფორმაციით, ადამი თვითმფრინავით, მატარებლითა და ავტობუსით მგზავრობდა. უკანასკნელი 4 კილომეტრი სირბილით გაიარა, ბოლო საზღვარი კი დედლაინის ამოწურვამდე 7 წუთით ადრე გადაკვეთა.

ლეიტონმა თავისი ტური გერმანიიდან დაიწყო. საფრანგეთში, ბელგიაში, ლუქსემბურგში, ნიდერლანდებში, დანიაში, შვედეთში, პოლონეთში, სლოვაკეთში, ჩეხეთში, უნგრეთსა და ავსტრიაში მოახერხა. ახლა 39 წლის ბრიტანელი გინესის რეკორდების წიგნის ოფიციალურ დადასტურებას ელის. აღსანიშნავია, რომ ადამის მოგზაურობის წყალობით, საქველმოქმედო ორგანიზაცია **Sands**-ისთვის სახსრების მოძიება შესაძლებელი გახდა.

plus.kvira.ge

სპინტერესო ამბები... სპინტერესო ამბები... სპინტერესო ამბები... სპინტერესო სპინტერესო

გადაწყვეტილების მისაღებად ტვინი საჭირო არ არის

მეცნიერებმა, ჩვენი აღმოჩენა მთლად ვერდიქტად არ გამოდგება, მაგრამ ურიგო არ იქნება, თუ კვლევის საწყის ეტაპად მივიჩნევთო.

ლოკოკინებზე ჩატარებული კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ გადაწყვეტილების მიღებისას, ტვინი არანაირ როლს არ ასრულებს, ანუ ნაცრისფერ ნივთიერებას არ იყენებს. ამისთვის მხოლოდ ორი სახის ნეირონის ერთობაა საჭირო და გადაწყვეტილებაც მზადაა.

ვინაიდან ლოკოკინისა და ადამიანის აგებულება, გარკვეული ნიშნით, ერთმანეთს ემთხვევა, სავარაუდოდა, რომ დიდი განსჯით არც ადამიანი იტვირთავდეს თავს.

ვნახოთ, როგორი იქნება საბოლოო დასკვნა.

globalscience.ru

სპინტერესო ამბები... სპინტერესო ამბები... სპინტერესო ამბები... სპინტერესო ამბები... სპინტერესო სპინტერესო სპინტერესო ამბები...

ქმრის პასუხი მოღალატე ცოლს

„ძვირფასო მეუღლე!

ამ წერილს იმისთვის ვწერ, რომ გითხრა – მივდივარ. 7 წელი მშვენიერი ცოლი ვიყავი, მაგრამ სამაგიეროდ ვერაფერს ვიღებდი. ბოლო წვეთი იყო, როდესაც შენმა უფროსმა დარეკა და თქვა, რომ სამსახურიდან წამოხვედი. წინა კვირას ჩემი ახალი ვარცხნილობა და მანიკიური ვერც კი შეამჩნიე. ისიც კი არ გაინტერესებდა, რომ ვახშმად შენი საყვარელი საჭმელი მოგიმზადე და თან ახალი პენუარი ჩავიცვი. ფეხბურთის ყურება და ძილი – ეს იყო ერთადერთი რამ, რაც იმ საღამოს გააკეთე. აღარ მეუბნები, რომ გიყვარვარ და აღარც მეკარები. ან აღარ გიყვარვარ ან უბრალოდ თვალთმაქცობ, მაგრამ მეტი აღარ შემიძლია!

პ.ს. თუ გაინტერესებს, შენს ძმასთან ერთად დასავლეთ ვირჯინიაში წავედი“.

ცოტა ხანში ყოფილ ცოლს ქმრის საპასუხო წერილი მოუვიდა:

„ძვირფასო ცოლო!

შენმა წერილმა ძალიან გამახარა, მართალია, ჩვენ 7 წელი ვცხოვრობდით ერთად, მაგრამ იდეალურ ცოლს მაინც ვერ გიწოდებ. მატჩებს იმიტომ ვუყურებდი, რომ შენი წუწუნისთვის არ მესმინა, მაგრამ ესეც კი არ მშველოდა. რაც შეეხება ვარცხნილობას – შევამჩნიე, მაგრამ არაფერი ვთქვი, რადგან არ გიხდებოდა. დედამ ბავშვობაში მასწავლა, რომ, თუ რაიმე სასიამოვნოს თქმა არ შეგიძლია, უმჯობესია, გაჩუმდეო!

რაც შეეხება ვახშამს,... ალბათ, ჩემს ძმაში შეგეშალე, რადგან უკვე რამდენიმე წელია, რაც ღორის ხორცს არ ვჭამ. შენი ლამაზი თეთრეული დავინახე და მომეწონა კიდეც, მაგრამ მასზე ფასის მოხსნა დაგავიწყდა, 49 დოლარი ეწერა და მისი დანახვისას გამახსენდა, რომ ჩემმა ძმამ რამდენიმე დღის წინ 50 დოლარი მთხოვა. ამიტომ ყველანაირი სურვილი დამეკარგა.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, იმედი მქონდა, რომ შევძლებდით გამგზავრებას და ყველაფრის თავიდან დაწყებას. საქმე ისაა, რომ რამდენიმე დღის წინ ლატარიაში 10 000 000 დოლარი მოვიგე...

P.S. გავეთავისუფლე სამსახურიდან და ჩვენთვის იამაიკისკენ ორი ბილეთი ვიყიდე, მაგრამ ახლა ამას არანაირი მნიშვნელობა აღარ აქვს. ჩემმა იურისტმა მითხრა, რომ შენი წერილის წყალობით ვერანაირ ფულს ვერ მომთხოვ. კარგად იყავი!

ხო კიდევ, იმედია, ის ფაქტი, რომ ჩემი ძმა კარლი თავიდან კარლად დაიბადა, არ შეგაწუხებს. წარმატებები!“

plus.kvira.ge

სპინტერესო ამბები... სპინტერესო ამბები... სპინტერესო ამბები... სპინტერესო სპინტერესო სპინტერესო ამბები...

თევზებს ადამიანის სახის დამახსოვრება შეუძლიათ

ოქსფორდისა და კლივლენდის უნივერსიტეტის მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ერთ-ერთი სახეობის თევზს ადამიანის სახეების დამახსოვრება შეუძლია. ადრე მიიჩნეოდა, რომ სახეების გარჩევა მხოლოდ დიდი მოცულობისა და რთული აგებულების ტვინს შეეძლო. მსგავს უნარს ტვინის გარკვეული უბანი სჭირდებოდა, რომელიც ბევრ ცხოველს არ გააჩნია. მეცნიერებმა გადაწყვიტეს, გამოეკვლიათ, რამდენად მართებული იყო ინფორმაცია, რომ მარტივი აგებულების ტვინს მსგავსი ამოცანის გადაჭრა არ შეეძლო.

ექსპერიმენტი ერთ-ერთი სახეობის თევზზე ჩაატარეს, რომელიც ცნობილია ნადირობის მეტად თავისებური მეთოდით – აღნიშნული თევზი წყალს ზემოთ ხტება და ნადავლს პირდაპირ ჰაერიდან ხსნის. მსგავსი მანერა კი, საგნების გარჩევისა და დისტანციის განსაზღვრის უნარს მოითხოვს.

ექსპერიმენტისას თევზებს ეკრანზე ორი ადამიანის სახეს აჩვენებდნენ და სახეების გარჩევას ასწავლიდნენ. თუ თევზი სწორად აირჩევდა სახეს და აკვარიუმიდან ამოხტებოდა, ჯილდოდ საკვებს იღებდა. ამის შემდეგ თევზებს 44 სახის ერთმანეთისგან გარჩევა უნდა შეძლებოდათ, რისთვისაც საკვებს არ აძლევდნენ.

პირველი ექსპერიმენტის შედეგად აღმოჩნდა, რომ გამოცნობის სიზუსტე 81 პროცენტი იყო, ხოლო მეორე ექსპერიმენტისას ყველა ფოტოს შავ-თეთრი ფერი დაადეს და ერთნაირი ზომის იყო, გამოცნობის სიზუსტემ კი 86 პროცენტს მიაღწია.

მეცნიერებს იმის ჩვენება უნდოდათ, რომ ისეთი რთული ამოცანის გადასაჭრელად, როგორიც სახეების გარჩევაა, აუცილებელი არ არის, ნეოკორტექსის, ტვინის რთული უბნის ქონა, რომლითაც ადამიანმა განვითარებას მიაღწია.

globalscience.ru

მუზეუმიდან ხუთჯერ მოიპარეს მალევიჩის ცნობილი ნახატი „შავი კვადრატი“ და არავინ იცის, ვინ დააბრუნა ხუთჯერვე თავის ადგილას... მუზეუმის დარაჯ ვასოს გარდა, რომელიც ადრე პროფესიონალი მღებავი იყო.

*****

– აბა, ჩემო ფისუნია, სად ხარ?

– აქ ვარ, სამზარეულოში.

– ჩაიგდე, ქალო, ხმა, კატას ვეძებ, სად დაიმალა, ვერ ვპოულობ!?

*****

– ვიქტორ, რას აირჩევდი – 3 მილიონს თუ სამ გოგოს?

– სამ გოგოს.

– რატომ, შე კაცო?

– იმიტომ, რომ ხუთი გოგოს პატრონი ვარ.

*****

– შალიკია, ქუჩის გადაკვეთა წითელ შუქნიშანზე თუ შეიძლება?

– კი, როგორ არა, შე კაცო, ოღონდ ხელები აწეული უნდა გქონდეს.

– რატომ, კი მაგრამ?

– რატომ და, მორგში პერანგს ადვილად გაგხდიან.

*****

გაზეთების ჯიხურთან შალიკია მივიდა.

– ნადია, „სიმართლე“ გაქვთ?

– „სიმართლე“ აღარაა.

– „სამშობლო“?

– გაიყიდა.

– აბა, რა გაქვთ?

– „შრომა“ 5 თეთრად.

*****

მოსამართლე ბრალდებულს მიმართავს.

– თქვენ მრავალცოლიანობაში გედებათ ბრალი!

– რას ამბობთ, ვინ გითხრათ?

– ვინ და თქვენმა ცოლმა!

– რომელმა?

მოამზადა დავით ახობაძემ
დავით ახობაძის ნახატი

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები

მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე

ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

ამერიკელი ფერმერი თავის ძროხებს მხოლოდ მაღალხარისხიანი... ტკბილეულით კვებავს

გასული ზაფხულის რეკორდულმა სიცხემ და მას მოყოლილმა გვალვამ იმდენად იმოქმედა ხორბლეულის საკვებზე, რომ ბევრი ფერმერი იძულებული გახდა, ყველაზე რადიკალური და უცნაური ნაბიჯები გადაედგა.

მაგალითად, ამერიკელი ფერმერი ჯოზეფ უოტსონი კენტუკის შტატიდან საკუთარ მსხვილფეხა საქონელს ტკბილეულით კვებავს. რაც მთავარია, საამისოდ უოტსონი მხოლოდ მაღალხარისხიან ნაწარმს იყენებს.

ხორბლეულისთვის მისი საქონლის რაციონში მხოლოდ 5 პროცენტილაა დატოვებული, რაც ცხოველების წონას მნიშვნელოვნად ზრდის, თუმცა ფერმერი, რომელმაც ხორბლისა და ტკბილეულის ფასები შეადარა, უკან არ იხევს და ამბობს, რომ „ძროხები, უბრალოდ, ვალდებულები არიან, ტკბილეული შეიყვარონ...“

ტკბილეულს ფერმერი პირდაპირ მწარმოებლებისგან ყიდულობს, მას მინერალებს, სუბპროდუქტებს, თივასა და სხვა საკვებ დანამატებს ურევს და საბოლოო ჯამში, ყველა კმაყოფილია.

ისე, ჭარბი წონა მხოლოდ ადამიანებს კი არ ვნებს, ცხოველებსაც აზიანებს, ეს ხომ ელემენტარულია, უოტსონ?..

gazeta.ua

რაზე არ უნდა ესაუბროთ მამაკაცს, ჩხუბი რომ არ მოგივიდეთ?

ფრანგი ექსპერტები ამტკიცებენ, რომ არსებობს 10 თემა, რომლებზე საუბარიც ოჯახში, ფაქტობრივად, ყოველთვის ჩხუბით და გამიშვი-გაგიშვით სრულდება.

აგერ, ბატონო, ის თემები, რომლებთან დაკავშირებითაც სჯობს, მშვენიერმა სქესმა სიფრთხილე გამოიჩინოს:

– რელიგია;
– პოლიტიკური შეხედულებები;
– ოჯახის შემოსავალი;
– მშობლები;
– ავადმყოფობები;
– ბავშვები;
– პირადი ცხოვრება;
– ეროვნება;
– ასაკი;
– სექსუალური ორიენტაცია და შესაძლებლობები.

aif.ru

რატომ არ შეიძლება ფოტოაპარატის მეგაპიქსელებისა და ადამიანის თვალის მგრძნობელობის შედარება?

დილეტანტს ეს კითხვა დააფრთხობს, თუმცა პასუხი იმდენად საინტერესოა, თითქმის დარწმუნებულები ვართ, ყველა ყურადღებით და დიდი სიამოვნებით მოისმენს.

სინამდვილეში, მეცნიერული თვალსაზრისით ადამიანის თვალისა და კამერის შედარება არაფრით შეიძლება.

დიდი ხნის წინათ დამტკიცდა, რომ ადამიანის თვალში დაახლოებით 120 ათასი მხედველობით უჯრედია, რომლებიც გამოსახულებას პიქსელურად არ აღიქვამენ. თვალი ობიექტს ერთდროულად ყველა უჯრედით აფიქსირებს. ამასთანავე, ზოგიერთი უჯრედი ფერებზე აგებენ პასუხს, დანარჩენები კი – განათებაზეა და ასე შემდეგ.

უკანასკნელი მონაცემებით, ადამიანის მხედველობის სიმძაფრის კოეფიციენტი 1,7-ია. შესაბამისად, რადიუსი, რომელშიც თვალი პიქსელებს ასხვავებს – 0,39 არკწუთია.

ახლა ადამიანური ენით რომ ვთქვათ, ხედვის 90-გრადუსიანი კუთხე რომ ავიღოთ ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად, გამოდის, რომ თვალის გაფართოება 324 მეგაპიქსელია. თუკი ამას დავამატებთ პერიფერიულ მხედველობას, შედეგად 576 მეგაპიქსელს მივიღებთ.

hozna.ru

მოამზადა მიხეილ სახვაძემ

ჰოროსკოპი

ვერძი 21.03-21.04
9 ივნისი: შეეცადეთ, საკუთარ თავს მაქსიმალურად მიხედოთ. რისი შესაძლებლობაც გექნებათ, არ მოიკლოთ.

კური 22.04-21.05
9 ივნისი: შესაძლოა, რაღაც საკითხმა დაგაინტერესოთ და ჭეშმარიტების დადგენაში ბევრი ენერგია დახარჯოთ. შეიძლება ამან ვილაცა გააღიზიანოს.

ტყუპები 22.05-21.06
9 ივნისი: შეეცადეთ, ნელ ტემპში და დაკვირვებით აკეთოთ საქმეები. შედეგი მართალია, გვიან დადგება, სამაგიეროდ, ის საუკეთესო იქნება.

კირჩხიბი 22.06-22.07
9 ივნისი: თქვენი მთავარი ამოცანა, ნებისმიერი საკითხის საგულდაგულოდ დაგეგმვა იქნება. თუ ინტუიციით იმოქმედებთ, ყველაფერი წყალში ჩაგეყრებათ.

ლომი 23.07-22.08
9 ივნისი: გენიალურ იდეებს მოერიდეთ, განსაკუთრებით, სხვებისას. თქვენსას რამეს მოუხერხებთ, დანარჩენი კი, სავარაუდოდ, ჩიხში შეგიყვანთ.

ქალწული 23.08-22.09
9 ივნისი: საკმაოდ იღბლიანი იქნებით. მთავარია, თავში არ აგივარდეთ და თავი არ დაირწმუნოთ, რომ მუდმივად ასე იქნება და პრობლემები აღარ გექნებათ.

სასწორი 23.09-22.10
9 ივნისი: აქტიურად მოქმედება არ იჩქაროთ, მოვლენების დაჩქარებას მაინც ვერ შეძლებთ. დაელოდეთ, სანამ გარკვევით არ მიგანიშნებენ, რომ გზა ხსნილია.

მორიელი 23.10-21.11
9 ივნისი: წარმატებული დღე უნდა იყოს ნებისმიერი სახის საუბრებისა და მოლაპარაკებებისთვის, მაგრამ სიფრთხილე გმართებთ, საიდუმლო არ დაგტყუონ.

მშვილდოსანი 22.11-21.12
9 ივნისი: თქვენთვის ჩვეული, დროით გამოცდილი მოქმედებების სქემიდან გადახვევა არ ღირს. არანაირი სიახლე, ნოვაცია შედეგს არ მოგიტანთ.

თხის რქა 22.12-19.01
9 ივნისი: თქვენი გონება იმის გასაანალიზებლად მიმართეთ, რა შესაძლებლობებიც გაგაჩნიათ და არა – ვალდებულებები. ეს საკუთარ ძალებში რწმენას შეგმატებთ.

მერწყული 20.01-18.02
9 ივნისი: საკმაოდ დაძაბული, დატვირთული დღე უნდა იყოს. სასწრაფოდ მიხედეთ საქმეს, რომელიც მიატოვეთ და შეიძლება ჩაიშალოს.

თევზები 19.02-20.03
9 ივნისი: ნებისმიერი სახის მოქმედებებში აკურატულობა გმართებთ. დღეს რაღაც არჩევანის გაკეთება მოგიწევთ. ვითარების გააზრებისთვის დრო არ დაზოგოთ.

გაზეთი „ალია“ სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!

დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ: 577 74 99 89

„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი (15 საათიდან)

ტკბილეულსა და ყავას განწყობის ამრევები უწოდეს

ყავის „გალანძღვამ“ იმდენად არ დაგვწყვიტა გული, როგორც ტკბილეულის ასე აუგად მოხსენიებამ, თუმცა ეგ არაფერი – მოკლას ხარი თივამ!..

ამერიკელი მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ოქროს წესი „საკუთარ თავს თავადვე დაეხმარე“ სტრესებთან ბრძოლაშიც მოქმედებს. აღმოჩნდა, რომ მენიუს კორექტირება მნიშვნელოვნად ამაღლებს იმ ადამიანის მდგომარეობას, რომელიც, რიგი მიზეზების გამო, სტრესის მსხვერპლად იყო ქცეული.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით სპეციალისტებმა ანტისტრესული პროდუქტების ტოპ-ხუთეული დაასახელეს.

ჩამონათვალში მოხვდა: ისპანახი, კაკაო, თხილი, ატამი და ასევე, მზესუმზირა.

– იმ შემთხვევაში, თუკი ადამიანი რეგულარულად განიცდის სტრესს, ჩამოთვლილი პროდუქტების მიღებაც მუდმივად უნდა ხდებოდეს, – განმარტავენ სპეციალისტები.

საყოველთაოდ ცნობილი და გავრცელებული მოსაზრება, თითქოს სტრესთან გამკლავება ადვილად შეიძლება შოკოლადისა და ყავის გამოყენებით, რეიტინგის ავტორებმა, უბრალოდ, გააქარწყლეს. კერძოდ, ისინი ამტკიცებენ, რომ ორივე პროდუქტი ადამიანის ემოციურ მდგომარეობას მხოლოდ ამძიმებს და მას უფრო გაღიზიანებულს ხდის, ვინაიდან უარყოფითად მოქმედებს, ზოგადად, ნერვულ სისტემაზე.

მოამზადა მიხეილ სახვაძემ

myjane.ru

– მოქალაქევ, ბანკში შიშველს ვერ შეგიშვებთ.
– მესმის, ბატონო, მაგრამ მე იპოთეკის დასაფარავად მოვედი.

მოამზადა დავით ახობაძემ, დავით ახობაძის ნახატი

გაზეთი „ალია“

გამოდის ოთხშაბათს, ხუთშაბათს და პარასკევს

გამომცემელი გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი (577-74 99 89) 2212180 პირადი (112)

საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე 599 93 28 03; 2-21-21-80 (110)

ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96

გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი ილია ჭაძვაძე (599 55-45-22)

კომპიუტერული ცენტრის დირექტორი ლევან ბანეთიშვილი

გაზეთ „ალიაში“ გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“** საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.

სარეკლამო სამსახური ☎ 2-333-170 577-444-442 მიხეილ სახვაძე 221 21 80 (შიდა ნომერი 110) E-mail: reklama@alia.ge

®-ით, D-ით, ან ◯-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008

UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49

რედაქციის მისამართი: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)

☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge

გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 02.25